

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და  
ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული  
სსდ - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი

და

სმექ ინთერნეიშენალ ფითიუაი ლიმიტედის ფილიალი  
საქართველოში

**ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ**

ე.ტ. N 9-24

საერთაშორისო მნიშვნელობის თბილისი-სენაკი-ლესელიძე  
(რუსეთის ფედერაციის საზღვარი) საავტომობილო გზის კმ17-  
კმ28 მონაკვეთის (თბილისი-ნატახტარი) მოდერნიზაცია-  
მშენებლობისთვის ტექნიკურ-ეკონომიკური  
დასაბუთებისა და დეტალური საპროექტო დოკუმენტაციის  
შედგენაზე მომსახურება

ელექტრონული ტენდერი აუქციონის ბარეში (NAT230020858)

**ხელშეკრულება**  
**სახელმწიფო შესყიდვის შესახებ**  
**ე.ტ. 9-24**

**ქ. თბილისი**

**11 იანვარი, 2024 წელი**

ერთი მხრივ, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი, წარმოდგენილი, მისი თავმჯდომარის მოადგილის, **სალომე წურჭუმიას** სახით (შემდგომში - შემსყიდველი),

მის.: ქ. თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. №12  
საიდენტიფიკაციო კოდი: 211 343 982  
საბანკო რეკვიზიტები: სახელმწიფო ხაზინა  
ბანკის კოდი: TRESGE22  
ანგარიშის ნომერი: GE24NB0330100200165022  
ელ.ფოსტა: info@georoad.ge

და მეორე მხრივ, სმექ ინთერნეიშენალ ფითიუაი ლიმიტედის ფილიალი საქართველოში, წარმოდგენილი, მისი დირექტორის, **კავა ბაჰას** სახით (შემდგომში - მიმწოდებელი),

მის.: საქართველო, ქალაქი თბილისი, საბურთალოს რაიონი, ადამ მიცკევიჩის ქუჩა, N 27ბ  
საიდენტიფიკაციო კოდი: 405244114  
საბანკო რეკვიზიტები: სს საქართველოს ბანკი  
ბანკის კოდი: BAGAGE22  
ანგარიშის ნომერი: GE70BG0000000044178200  
ელ. ფოსტა: georgia@smec.com

შემდგომში თითოეული ცალ-ცალკე წოდებული, როგორც „მხარე“, ხოლო ერთობლივად წოდებულნი, როგორც „მხარეები“,

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 16<sup>1</sup> მუხლის პირველი პუნქტის, „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ - სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის №12 ბრძანებით დამტკიცებული ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის 33-ე მუხლის პირველი პუნქტისა და სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემით გამოცხადებული ელექტრონული ტენდერის **NAT230020858** საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას (შემდგომში - ხელშეკრულება) შემდეგზე:

**მუხლი 1. შესყიდვის ობიექტის დასახელება და მისი შესაბამისი CPV კოდი**

1. ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შესყიდვის ობიექტს წარმოადგენს საერთაშორისო მნიშვნელობის თბილისი-სენაკი-ლესელიძე (რუსეთის ფედერაციის საზღვარი) საავტომობილო გზის კმ17-კმ28 მონაკვეთის (თბილისი-ნატახტარი) მოდერნიზაცია-მშენებლობისთვის ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთებისა და დეტალური საპროექტო დოკუმენტაციის შედგენაზე მომსახურება (შემდგომში - მომსახურება).

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის CPV კოდია: **71300000 - საინჟინრო მომსახურებები.**

**მუხლი 2. ხელშეკრულების ღირებულება**

ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს **5 180 000.00 (ხუთი მილიონ ას ოთხმოცი ათასი)** ლარს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული დამატებული ღირებულების გადასახადის გათვალისწინებით.

### **მუხლი 3. მომსახურების შესრულების ვადა და ადგილი**

1. მიმწოდებელი ვალდებულია, ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევა უზრუნველყოს ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს **22 (ოცდაორი) თვეში**.

2. მიმწოდებელი ვალდებულია, ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევა უზრუნველყოს ტექნიკური დავალებით (ხელშეკრულების დანართი) განსაზღვრული პირობების შესაბამისად.

3. მომსახურების გაწევა მოხდება მიმწოდებლის ადგილსამყოფელის მიხედვით ან/და საჭირო შემთხვევებში, დასაპროექტებელი ობიექტის ადგილას.

### **მუხლი 4. ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტიის პირობები**

1. ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით მიმწოდებლის მიერ შემსყიდველისთვის წარდგენილი, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ლიცენზირებული დაწესებულების მიერ (ან უცხო ქვეყნის საბანკო დაწესებულებიდან, რომელიც გადაზღვეული იქნება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული საბანკო დაწესებულების მიერ) გაცემული ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტიის თანხა შეადგენს ხელშეკრულების ღირებულების 10 %-ს.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტიის ვადა უნდა აღმატებოდეს ხელშეკრულების მოქმედების ვადას არანაკლებ 30 (ოცდაათი) კალენდარული დღით.

3. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია თავისი შინაარსით უნდა იყოს უპირობო და შემსყიდველს უნდა აძლევდეს უფლებას, ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტიის გამცემი დაწესებულებისგან პირველივე მოთხოვნისთანავე, შემსყიდველის მხრიდან ყოველგვარი დასაბუთებისა და დოკუმენტაციის წარდგენის გარეშე, მიიღოს შესაბამისი თანხა.

4. მიმწოდებლის მიერ შემსყიდველისათვის წარდგენილი, ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის უპირობო საბანკო გარანტია გამოიყენება ნებისმიერი ზიანის ანაზღაურების მიზნით, რომელიც მიადგება შემსყიდველს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებ(ებ)ის შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვნად შესრულების შედეგად, აგრეთვე, შემსყიდველის მიერ მიმწოდებლისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ანაზღაურების, საპროექტო დოკუმენტაციის ხარვეზის ან/და ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

5. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად შესრულების და ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლის შემდეგ, შემსყიდველი ვალდებულია, დაუბრუნოს მიმწოდებელს ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია.

6. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტის ან/და ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების დარღვევის ან/და არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, შემსყიდველს უფლება აქვს, აამოქმედოს ამ მუხლის პირველ პუნქტში განსაზღვრული ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია სრული სამუშაოების ოდენობით.

7. შემსყიდველის მიერ, ხელშეკრულების მე-13 მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში, ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტისას შემსყიდველი უფლებამოსილია, აამოქმედოს ამ მუხლის პირველ პუნქტში განსაზღვრული ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია სრული ოდენობით. ამ შემთხვევაში ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტიის ამოქმედება მიმწოდებელს არ ათავისუფლებს შემსყიდველისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების ვალდებულებისაგან.

8. მიმწოდებლისაგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, კერძოდ, ხელშეკრულების მე-11 მუხლით გათვალისწინებული ფორს-მაჟორული გარემოებების გამო, ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში შემსყიდველი ვალდებულია, მიმწოდებლის მოთხოვნისთანავე დაუბრუნოს მას ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია.

9. შემსყიდველის მიერ ხელშეკრულების მოქმედების ვადის გაგრძელების შემთხვევაში, მიმწოდებელი ვალდებულია, უზრუნველყოს ამ მუხლის პირველი პუნქტში განსაზღვრული

ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტიის ვადის გაგრძელება და შემსყიდველს წარუდგინოს აღნიშნულის დამადასტურებელი დოკუმენტი (ცვლილება/ახალი საბანკო გარანტია).

### **მუხლი 5. ანგარიშსწორების წესი**

1. ხელშეკრულების ფარგლებში ანგარიშსწორება იწარმოება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, საქართველოს ეროვნულ ვალუტაში, ხელშეკრულებით გათვალისწინებულ რეკვიზიტებზე.

2. ანგარიშსწორების მიზნით, მიმწოდებელი, ხელშეკრულებით განსაზღვრული მომსახურების გაწევის ვადებისა და პირობების შესაბამისად, ეტაპობრივად წარუდგენს შემსყიდველს ხელშეკრულების ტექნიკურ დავალებაში განსაზღვრულ მომსახურების ეტაპებს.

3. ხელშეკრულების ფარგლებში ანგარიშსწორება ხორციელდება ხელშეკრულების მე-9 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად შედგენილი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან და შემსყიდველის მიერ საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის დადასტურებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

4. მიმწოდებელი ვალდებულია ანგარიშსწორებისას წარუდგინოს შემსყიდველს, ფაქტობრივად გაწეული მომსახურების მთლიანი ღირებულება (დამატებული ღირებულებისა და სხვა გადასახადების გათვალისწინებით).

### **მუხლი 6. წინასწარი ანგარიშსწორების პირობები**

1. მიმწოდებელი უფლებამოსილია, შემსყიდველს წარუდგინოს წერილობითი თხოვნა წინასწარი ანგარიშსწორების თანხის (შემდგომში - ავანსი) გადახდის თაობაზე.

2. მიმწოდებელი არ არის უფლებამოსილი, შემსყიდველს წარუდგინოს წერილობითი თხოვნა ავანსის გადახდის თაობაზე, თუ იგი რეგისტრირებულია მოვალეთა რეესტრში, მის მიმართ რეგისტრირებულია საგადასახადო გირავნობა ან/და ყადაღა. მიმწოდებელი ვალდებულია, შემსყიდველს წარუდგინოს შესაბამისი დოკუმენტები, რომლითაც დასტურდება მის მიმართ ამ პუნქტში განსაზღვრული ვალდებულებების რეგისტრაციის არარსებობა.

3. მიმწოდებლის მიერ ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული წერილობითი მოთხოვნის წარდგენის მიუხედავად, შემსყიდველი უფლებამოსილია, არ დააკმაყოფილოს მიმწოდებლის თხოვნა ავანსის გადახდის თაობაზე იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელს შესრულებული აქვს ხელშეკრულების ღირებულების 20% ან მეტი.

4. შემსყიდველის მიერ ავანსის გადახდასთან დაკავშირებით დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, მიმწოდებელი ვალდებულია, შემსყიდველს წარუდგინოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ლიცენზირებული დაწესებულების (ან უცხო ქვეყნის საბანკო დაწესებულებიდან, რომელიც გადაზღვეული იქნება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული საბანკო დაწესებულების მიერ) მიერ გაცემული, ავანსის იდენტური ოდენობის საბანკო გარანტია, რომელიც ძალაში უნდა იყოს გადასახდელი ავანსის დაქვითვამდე.

5. ამ მუხლის მე-4 პუნქტში განსაზღვრული ავანსის იდენტური ოდენობის საბანკო გარანტია თავისი შინაარსით უნდა იყოს უპირობო და შემსყიდველს უნდა აძლევდეს უფლებას, ავანსის იდენტური ოდენობის საბანკო გარანტიის გამცემი დაწესებულებისგან პირველივე მოთხოვნისთანავე, შემსყიდველის მხრიდან ყოველგვარი დასაბუთებისა და დოკუმენტაციის წარდგენის გარეშე, მიიღოს შესაბამისი თანხა.

6. იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელი რეგისტრირებულია თეთრ სიაში (შესყიდველში მონაწილე კვალიფიციურ მიმწოდებელთა რეესტრი), მიმწოდებელი შემსყიდველს წარუდგენს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ლიცენზირებული დაწესებულების მიერ (ან უცხო ქვეყნის საბანკო დაწესებულებიდან, რომელიც გადაზღვეული იქნება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული საბანკო დაწესებულების მიერ) გაცემულ ავანსის ნახევარი ოდენობის საბანკო გარანტიას, რომელიც ძალაში უნდა იყოს გადასახდელი ავანსის დაქვითვამდე და აკმაყოფილებდეს ამ მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

7. მიმწოდებლისთვის გადასახდელი ავანსი ჯამში არ უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულების ღირებულების 20 %-ს.

8. შემსყიდველის მიერ გადახდილი ავანსის დაკავება მოხდება ქვემოთ მოყვანილი წესის თანახმად:

$$Z = \frac{A*(X\%-Y\%)}{70 - 20}$$

Z = არის გამოსაქვითი თანხა საანგარიშო პერიოდში;

A = წარმოადგენს გადარიცხული ავანსის თანხას;

X = წარმოადგენს საანგარიშო პერიოდისთვის გაწეული მომსახურების შეფარდებას საწყის საკონტრაქტო ღირებულებასთან, გამოხატულს პროცენტებში. ეს მონაცემი არ აღემატება 70%-ს.

Y = არის (X) წინა პერიოდისათვის.

9. გადახდილი ავანსის დაკავება განხორციელდება მას შემდეგ, როცა გაწეული მომსახურების მოცულობა მიაღწევს 20%-ს, ხოლო გადახდილი ავანსის სრულად დაქვითვა განხორციელდება, როცა გაწეული მომსახურების მოცულობა შეადგენს 70 %-ს.

10. გადახდილი ავანსის დაქვითვა ასევე შესაძლოა განხორციელდეს წინსწრებით.

11. მიმწოდებელი ვალდებულია, ავანსი გამოიყენოს მხოლოდ ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ვალდებულებების შესასრულებლად.

12. შემსყიდველი უფლებამოსილია, აამოქმედოს ამ მუხლის მე-4 ან მე-6 პუნქტით განსაზღვრული საბანკო გარანტია, თუ მიმწოდებელი ვერ უზრუნველყოფს ამ მუხლის მე-4 ან მე-6 პუნქტის მოთხოვნის შესაბამისად, საბანკო გარანტიის ვადის გაგრძელებას ან/და ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის მიმწოდებელს არა აქვს დაქვითული გადახდილი ავანსი ან მისი ნაწილი.

13. ავანსის გადახდა მოხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით მიმწოდებლის მიერ ამ მუხლის მე-4 ან მე-6 პუნქტით გათვალისწინებული საბანკო გარანტიის შემსყიდველისთვის წარდგენის შემდეგ.

### **მუხლი 7. გაწეული მომსახურების საგარანტიო ვადა**

1. მიმწოდებლის მიერ შემსყიდველისთვის წარდგენილი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის ხარისხის დაცვის მიზნით, შემსყიდველის მიერ დაკავებული იქნება ხელშეკრულების ფარგლებში, მიმწოდებლის მიერ შედგენილი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის ღირებულების 5%, რომელიც მიმწოდებელს დაუბრუნდება საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტების მიღება-ჩაბარებიდან 18 (თვრამეტი) თვის შემდგომ (საგარანტიო პერიოდი), გარდა იმ შემთხვევისა თუ ამ ვადაში შემსყიდველი განახორციელებს შესაბამისი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციით განსაზღვრული სამუშაოების დაწყებას.

2. საგარანტიო პერიოდის (18 თვე) განმავლობაში ხელშეკრულების ფარგლებში შედგენილი შესაბამისი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის საფუძველზე სამუშაოების დაწყების შემთხვევაში, ხარისხის დაცვის მიზნით დაკავებული თანხის დაბრუნება მოხდება შემუშავებული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციით განსაზღვრული სამუშაოების დასრულებისა და შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

3. თუ საგარანტიო პერიოდში დაწყებული სამუშაოების განხორციელების პროცესში შესაბამის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციაში აღმოჩნდება რაიმე სახის დეფექტ(ებ)ი, მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით აღმოფხვრას ისინი. თუ მიმწოდებელი არ აღმოფხვრის აღნიშნულ დეფექტ(ებ)ს, შემსყიდველი უფლებამოსილია მიმწოდებელს არ აუნაზღაუროს გაწეული საპროექტო მომსახურების ფარგლებში დაკავებული თანხა გამოვლენილი ხარვეზის ღირებულების პროპორციულად. ამასთან, თუ აღმოჩნდება რომ ხარისხის დაცვის მიზნით დაკავებული თანხა არაა საკმარისი, შემსყიდველი უფლებამოსილია მიმართოს ხელშეკრულებითა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ღონისძიებებს.

4. თუ მიმწოდებლის ბრალეულობით, შედგენილი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციით გათვალისწინებული სამუშაოების განხორციელების პროცესში გამოვლენილი საპროექტო დეფექტ(ებ)ის არსებობამ გადააჭარბა სამუშაოების სახელშეკრულებო ღირებულებაში განსაზღვრული გაუთვალისწინებელი სამუშაოების ღირებულებას (დადგენილი შემსყიდველის

შესაბამისი სტრუქტურული ქვედანაყოფის ან/და დამოუკიდებელი ექსპერტის მიერ) მიმწოდებელს არ აუნაზღაურდება ხარისხის უზრუნველსაყოფად ხელშეკრულების ფარგლებში, ობიექტთან მიმართებით შედგენილი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის ღირებულებიდან დაკავებული თანხა, 5%-ის ოდენობით სრულად.

### **მუხლი 8. მომსახურების შესაბამისობა**

1. ხელშეკრულების პირველი მუხლით გათვალისწინებული მომსახურება უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ ნორმებსა და წესებს, მსგავსი მომსახურებისათვის უკვე დადგენილ სტანდარტებს, ტექნიკურ სპეციფიკაციებს, აგრეთვე, ხელშეკრულებითა და მასზე თანდართული ტექნიკური დავალებით გათვალისწინებულ პირობებს, რომელიც თან ერთვის ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

2. ამ მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნული პირობებიდან ნებისმიერი გადახვევის შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია, არ მიიღოს მომსახურება ან/და მიმწოდებლის მიმართ გამოიყენოს ხელშეკრულებითა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის ზომები.

3. მომსახურებისთვის საჭირო საავტორო ზედამხედველობას მიმწოდებელი გასწევს საჭიროებიდან გამომდინარე, საკუთარი ხარჯებით, გაწეული მომსახურების საფუძველზე შედგენილი საპროექტო დოკუმენტაციის შესაბამისად სამუშაოების დაწყების შემდეგ სამუშაოების დასრულებამდე პერიოდში, მომსახურების გაწევის ვადების მიუხედავად.

4. საპროექტო დოკუმენტაციის მიღების შემდგომ, შემსყიდველი უფლებამოსილია მიმწოდებელს წარუდგინოს საპროექტო დოკუმენტაციაში ხარვეზის არსებობის შესახებ სამშენებლო სამუშაოების განმახორციელებელი პირის მიმართვა, რომელიც დადასტურებულია ზედამხედველობის განმახორციელებელი პირის მიერ. შესაბამისი მიმართვის მიღების შემდეგ, მიმწოდებელი ვალდებულია, შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ ვადაში გამოასწოროს არსებული ხარვეზი საკუთარი ხარჯებით ან, ასეთის არ არსებობის შემთხვევაში, წარმოადგინოს დასაბუთებული პოზიცია მის მიერ მომზადებული პროექტის სისწორესთან დაკავშირებით. შემსყიდველის მიერ განსაზღვრული ვადის გადაცილების შემთხვევაში, შემსყიდველი უფლებამოსილია მიმწოდებლის მიმართ გამოიყენოს ხელშეკრულების მე-12 მუხლით გათვალისწინებული სანქციები.

5. ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელი წარმოადგენს დასაბუთებულ პოზიციას მის მიერ მომზადებული პროექტის სისწორესთან დაკავშირებით, რომელსაც არ დაეთანხმება სამშენებლო სამუშაოების განმახორციელებელი პირი, სამშენებლო სამუშაოების განმახორციელებელი პირი ვალდებულია შემსყიდველის მითითების საფუძველზე, საკუთარი ხარჯებით ჩაუტაროს ექსპერტიზა დასრულებულ საპროექტო დოკუმენტაციას - სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში“ ან სსიპ აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო - აკრედიტაციის ცენტრის მიერ აკრედიტირებულ პირთან. .

6. იმ შემთხვევაში, თუ შესაბამისი ექსპერტიზის დასკვნით დგინდება საპროექტო დოკუმენტაციის ხარვეზი (მოცულობების ცვლილება, ხელშეკრულების ღირებულების გაზრდა ან/და სხვა გარემოება რომლის გათვალისწინებაც შესაძლებელი იყო საპროექტო დოკუმენტაციაში), რომლის გამოსწორებაზეც მიმწოდებელი აცხადებს უარს, შემსყიდველი უფლებამოსილია აღნიშნული განიხილოს სახელშეკრულებო ვალდებულების დარღვევად და გამოიყენოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სანქციები.

### **მუხლი 9. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი**

1. მიმწოდებლის მიერ შემსყიდველისთვის წარგენილი, ხელშეკრულების ტექნიკური დავალებით გათვალისწინებული შესაბამისი ეტაპის დოკუმენტაციის ანალიზის, ხოლო საჭიროების შემთხვევაში, შემსყიდველის ტექნიკურ საბჭოზე შესაბამისი დოკუმენტაციის განხილვისა და დადებითი რეკომენდაციის მიღების შემდგომ, დგება მომსახურების მიღება-ჩაბარების ორმხრივი აქტის საფუძველზეც შემსყიდველი აუნაზღაურებს მიმწოდებელს გაწეული მომსახურების ღირებულებას მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან და დამატებული ღირებულების გადასახადის ანგარიშ-ფაქტურის დადასტურებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ხელშეკრულების ტექნიკური დავალებით განსაზღვრული ეტაპის დოკუმენტაციის განხილვისა და დადებითი რეკომენდაციის გაცემის შემდეგ, საჭიროების შემთხვევაში, შემსყიდველი უფლებამოსილია, საკუთარი ხარჯებით ჩაუტაროს ექსპერტიზა ტექნიკური დავალებით განსაზღვრული შესაბამისი ეტაპის დოკუმენტაციას - სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში“ ან სსიპ აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო - აკრედიტაციის ცენტრის მიერ აკრედიტირებულ პირთან.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად ან ხელშეკრულების ტექნიკური დავალებით გათვალისწინებულ შემთხვევაში, დადებითი საექსპერტო დასკვნის შემსყიდველის მიერ მიღების შემდგომ, მაგრამ ექსპერტიზის დასკვნის შემსყიდველის მიერ მიღებიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში, ფორმდება მომსახურების მიღება-ჩაბარების ორმხრივი აქტი, რომელიც განსაზღვრავს გაცემული დავალების შესრულებას და სრულ ასანაზღაურებელ თანხას, რის საფუძველზეც შემსყიდველი აუნაზღაურებს მიმწოდებელს გაწეული მომსახურების ღირებულებას, შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან და დამატებული ღირებულების გადასახადის ანგარიშ-ფაქტურის დადასტურებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

4. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების ტექნიკური დავალებით განსაზღვრულია მომსახურების ეტაპობრივი მიღება, თითოეული ეტაპის დასრულების შემდეგ დგება მომსახურების შესაბამისი ეტაპის მიღება-ჩაბარების აქტი. ტექნიკური დავალებით განსაზღვრული მომსახურების ეტაპი მიღებულად ითვლება მხოლოდ მომსახურების მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

5. იმ შემთხვევაში, თუ გაწეული ან მიმდინარე მომსახურების ინსპექტირების შედეგები უარყოფითია, შემსყიდველს შეუძლია, უარი განაცხადოს მომსახურების მიღებაზე და ანაზღაურებაზე.

6. გაწეული მომსახურების მიღების და საბოლოო შემოწმების ადგილია შემსყიდველის ადგილსამყოფელი და/ან, საჭირო შემთხვევებში, დასაპროექტებელი ობიექტი.

7. შემსყიდველი ამოწმებს მიმწოდებლის მიერ გაწეული მომსახურების მოცულობას და ხარისხს.

8. მომსახურებას, შემსყიდველის მხრიდან იბარებს **საპროექტო სამსახური ან მისი უფლებამონაცვლე**.

#### **მუხლი 10. მხარეთა უფლება-მოვალეობანი**

1. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) მომსახურების გაწევის პროცესში იხელმძღვანელოს ხელშეკრულების მე-8 მუხლის პირველ პუნქტში გათვალისწინებული წესებითა და პირობებით;

ბ) ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება განახორციელოს ჯეროვნად, ხელშეკრულების პირობების, ტექნიკური დავალების, მომსახურების ტექნიკური სპეციფიკაციების შესაბამისად;

გ) უზრუნველყოს **მომსახურების გაწევა ხელშეკრულების მე-3 მუხლში განსაზღვრული ვადების შესაბამისად**;

დ) საჭიროების შემთხვევაში, მოამზადოს საგზაო მოძრაობის დროებითი ორგანიზაციის სქემები, ასევე, შემსყიდველთან საგზაო მოძრაობის დროებითი ორგანიზაციის სქემის შეთანხმებამდე და შეთანხმებული სქემით განსაზღვრული ტექნიკური საშუალებებით უსაფრთხო საგზაო მოძრაობის რეგულირებამდე, არ დაიწყოს ისეთი სამუშაოების წარმოება, რომელმაც შეიძლება, ზემოქმედება იქონიოს საგზაო მოძრაობაზე;

ე) განათავსოს დროებითი საგზაო ნიშნები, საგზაო მონიშვნა, საგზაო ბარიერები და მოძრაობის რეგულირების ტექნიკური საშუალებები დამტკიცებული და შეთანხმებული საგზაო მოძრაობის დროებითი ორგანიზაციის სქემის შესაბამისად და, საჭიროების შემთხვევაში, მიიღოს სხვა ისეთი აუცილებელი ზომები საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების გაუმჯობესების უზრუნველსაყოფად, რომლებსაც მოითხოვს სამუშაოები;

ვ) უზრუნველყოს საგზაო მოძრაობის დროებითი ორგანიზაციის სქემით განსაზღვრული საგზაო ნიშნების, საგზაო მონიშვნის, ბარიერების და საგზაო მოძრაობის რეგულირების ტექნიკური საშუალებების სუფთა და თვალსაჩინო მდგომარეობაში არსებობა; დააყენოს, გადაიტანოს, დაფაროს ან აიღოს ისინი სამუშაოს მიმდინარეობის შესაბამისად, შემსყიდველთან და ზედამხედველთან შეთანხმებით;

ზ) შემსყიდველთან შეთანხმებულ გონივრულ ვადაში, საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს წარდგენილ საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციაში არსებული ხარვეზების გამოსწორება (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

თ) მიმწოდებელი ვალდებულია, შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად, წარუდგინოს მას ინფორმაცია გასაწევი ან/და გაწეული მომსახურების შესახებ;

ი) საჭიროების შემთხვევაში, საპროექტო დოკუმენტაციით გათვალისწინებული სამუშაოების განხორციელების პროცესში, დამატებითი ანაზღაურების გარეშე, გაუწიოს კონსულტაცია შემსყიდველს სამუშაოების განხორციელების დროს წარმოქმნილი დამატებითი სამუშაოების ან/და საპროექტო ცვლილების განხორციელების მიზანშეწონილობის შესახებ;

კ) ანგარიშსწორებისას საანგარიშსწორებო დოკუმენტაციაში მიუთითოს ფაქტიურად გაწეული მომსახურების მთლიანი ღირებულება;

ლ) შემსყიდველს დაუყონებლივ აცნობოს მისი მოსალოდნელი რეორგანიზაციის ან ლიკვიდაციის შესახებ, აგრეთვე, სხვა გარემოებათა შესახებ, რომლებმაც შესაძლებელია, ხელი შეუშალოს მის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებას;

მ) იმ შემთხვევაში, თუ პროექტი ითვალისწინებს ქონების შეფასებას, შემფასებელი (სერთიფიცირებული) ექსპერტის კანდიდატურა შეათანხმოს შემსყიდველთან და ქონების შეფასების დოკუმენტი წარადგინოს მისი და შემფასებელი ექსპერტის ხელმოწერით;

ნ) საპროექტო დოკუმენტაცია წარადგინოს მისი და შესაბამისი სპეციალისტის (ინჟინერ-ტექნიკური პერსონალი, ტექნიკური გადაწყვეტილების მიმღები) მიერ ხელმოწერილი სახით;

ო) საჭიროების შემთხვევაში, შემსყიდველის მოთხოვნით, შემსყიდველს წარუდგინოს ობიექტის საპროექტო დოკუმენტაციასთან დაკავშირებით სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს“ ან სსიპ აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო - აკრედიტაციის ცენტრის მიერ აკრედიტირებული პირის დასკვნა საპროექტო/სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესახებ;

პ) შეასრულოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ვალდებულებები.

2. შემსყიდველი ვალდებულია:

ა) შეუფერხებლად აუნაზღაუროს მიმწოდებელს გაწეული მომსახურების ღირებულება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებისა და ვადების შესაბამისად;

ბ) მიმწოდებლის მიერ დასრულებული საპროექტო დოკუმენტაციის წარდგენიდან გონივრულ ვადაში განიხილოს მისთვის წარდგენილი დოკუმენტაცია, საჭიროების შემთხვევაში გაიტანოს მის ტექნიკურ საბჭოზე, წუნის აღმოჩენის შემთხვევაში, წერილობით აცნობოს მიმწოდებელს აღნიშნულის შესახებ და განუსაზღვროს გონივრული ვადა ხარვეზის გამოსასწორებლად.

3. შემსყიდველი და მიმწოდებელი ერთობლივად განიხილავენ მომსახურების გაწევის მიმდინარეობის საკითხებს და საჭიროების შემთხვევაში შეაქვთ მასში სათანადო ცვლილებები.

4. ხელშეკრულების არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება, შეიტანოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევის ვადებში ცვლილებები მეორე მხარესთან შეთანხმების გარეშე, ვადებში ცვლილებები დასაშვებია მხოლოდ მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

## **მუხლი 11. ფორს-მაჟორი**

1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებ(ებ)ის შეუსრულებლობით ან/და არაჯეროვნად შესრულებით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ ვალდებულებ(ებ)ის შეუსრულებლობა ან/და არაჯეროვანი შესრულება გამოწვეულია დაუძლეველი ძალის (სტიქიური უბედურება, ომი, კარანტინი, საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესება, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირება, საზოგადოებრივი არეულობა, ცვლილებები კანონმდებლობაში და ა.შ.) ზეგავლენით, რომლის წინასწარ განსაზღვრა ან თავიდან აცილება მხარეების შესაძლებლობას აღემატებოდა. დაუძლეველი ძალით გამოწვეული მოვლენები ეწოდება მოვლენებს, რომელთა წარმოშობასა და განვითარებაზე მხარეებს ზეგავლენის მოხდენა არ შეუძლიათ (ფორს-მაჟორი).

2. მხარე, რომელსაც ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებ(ებ)ის შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვნად შესრულების მიზეზად ფორს-მაჟორი მოჰყავს, ვალდებულია, დაუყოვნებლივ, მაგრამ ფორს-მაჟორის მოვლენის დადგომიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღისა,



წერილობით აცნობოს მეორე მხარეს ასეთი მოვლენის დადგომისა და მისი სავარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ; წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებ(ებ)ის შეუსრულებლობით ან/და არაჯეროვნად შესრულებით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან. ამასთან, მეორე მხარის მოთხოვნის შემთხვევაში, შესაბამისმა მხარემ უნდა წარადგინოს ფორს-მაჟორის არსებობის დამადასტურებელი დოკუმენტი, და დაასაბუთოს, რომ ფორს-მაჟორმა არსებითად ხელი შეუშალა მხარეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებ(ებ)ის შესრულებაში.

## **მუხლი 12. პასუხისმგებლობა**

1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებ(ებ)ის შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის, მათ შორის, ხელშეკრულებით გათვალისწინებულ საგარანტიო პერიოდში, დამრღვევი მხარე ვალდებულია, მეორე მხარის მოთხოვნისთანავე გადაუხადოს მას პირგასამტეხლოს სახით ხელშეკრულების ღირებულების 1%, მაგრამ არანაკლებ 1 000 (ერთი ათასი) ლარისა, შემსყიდველის მოთხოვნის მიღებიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღეში და უზრუნველყოს დარღვეული ვალდებულების დაუყოვნებლივ გამოსწორება.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე მიმწოდებლისთვის დაკისრებული პირგასამტეხლოს დადგენილ ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში, შემსყიდველი უფლებამოსილია, მიმწოდებელს შესრულებული სამუშაოების ღირებულებიდან დაუკავოს თანხა დაკისრებული პირგასამტეხლოს ოდენობით და მოახდინოს ურთიერთმოთხოვნათა გაქვითვა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

3. იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელზე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებ(ებ)ის დარღვევის გამო დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5%-ს, შემსყიდველს უფლება აქვს, ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

4. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებ(ებ)ის შეუსრულებლობით ან არაჯეროვნად შესრულებით მესამე პირისათვის მიყენებული ნებისმიერი სახის ზიანის ანაზღაურების ვალდებულება ეკისრება მიმწოდებელს.

5. მიმწოდებლის მიერ ჩადენილი საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული სამართალდარღვევისათვის, შემსყიდველისათვის დაკისრებული ადმინისტრაციული სახდელისათვის პასუხისმგებლობა ეკისრება მიმწოდებელს.

6. ხელშეკრულების მე-15 მუხლის მე-2, მე-4 და მე-6 პუნქტებით გათვალისწინებული ვალდებულების დარღვევის შეთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ამ მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად.

## **მუხლი 13. ხელშეკრულების შეწყვეტა**

1. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების ვალდებულებ(ებ)ის შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, მეორე მხარეს შეუძლია, მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ, რაზედაც აცნობებს მეორე მხარეს წერილობითი ფორმით.

2. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მეორე მხარეს ხელშეკრულებით განსაზღვრული სხვა პირობების შესრულებისაგან.

3. ხელშეკრულების შეწყვეტა ურთიერთშეთანხმების საფუძველზე ხორციელდება მხარეთა შორის დანართის გაფორმების გზით.

4. მხარეთა შეუთანხმებლობის შემთხვევაში ხელშეკრულების თითოეულ მხარეს უფლება აქვს, ცალმხრივად, წერილობითი ფორმით შეწყვიტოს ხელშეკრულება.

5. შემსყიდველი უფლებამოსილია, ვადამდე, ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება, თუ:

ა) მიმწოდებელი არღვევს (არ ასრულებს ან არაჯეროვნად ასრულებს) ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვალდებულებას/ვალდებულებებს;

ბ) მიმწოდებლის ბრალეულობით, საპროექტო დოკუმენტაციით გათვალისწინებული სამუშაოების განხორციელების პროცესში გამოვლენილი საპროექტო დეფექტ(ებ)ის არსებობამ

გამოიწვია სამუშაოების ღირებულების მნიშვნელოვნად გაზრდა, რაც დადგენილია შემსყიდველის შესაბამისი სტრუქტურული ქვედანაყოფის ან/და დამოუკიდებელი ექსპერტის მიერ;

გ) მიმწოდებლის მიმართ მიმდინარეობს გაკოტრების ან გადახდისუუნარობის საქმის წარმოება (მოუხედავად მისი დაწყების დროისა);

დ) მიმწოდებლის ქონებას დაედო ყადაღა, თუ ეს გარემოება ზეგავლენას ახდენს ან შესაძლებელია, მოახდინოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებ(ებ)ის შესრულებაზე;

ე) მიმდინარეობს მიმწოდებლის რეორგანიზაცია, თუ ეს გარემოება ზეგავლენას ახდენს ან შესაძლებელია, მოახდინოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებ(ებ)ის შესრულებაზე;

ვ) ამოიწურა ხელშეკრულებაზე თანდართული ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტიით განსაზღვრული თანხა/ვადა და მიმწოდებელმა შემსყიდველს არ წარუდგინა ახალი საბანკო გარანტია;

ზ) მიმწოდებლის მიმართ დაკისრებული პირგასამტეხლოს ოდენობამ გადააჭარბა ხელშეკრულების ღირებულების 5%-ს;

თ) ხელშეკრულებით განსაზღვრული საპროექტო დოკუმენტაციის წარდგენის ვადა განმეორებით დაირღვა მიმწოდებლის მიერ;

ი) ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მიმწოდებელმა ხელშეკრულების დადების მიზნით ჩაიდინა არაკეთილსინდისიერი ქმედება;

კ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

6. შემსყიდველის მიერ ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შემთხვევაში, შემსყიდველი უფლებამოსილია, ამოქმედოს ხელშეკრულების მე-4 მუხლში განსაზღვრული ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია სრული ოდენობით. ამ შემთხვევაში საბანკო გარანტიის ამოქმედება მიმწოდებელს არ ათავისუფლებს შემსყიდველისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების ვალდებულებისგან.

#### **მუხლი 14. უფლებების გადაცემა**

1. ხელშეკრულების პირობები სავალდებულოა როგორც ხელშეკრულების მხარეებისათვის, ასევე, მათი სამართალმემკვიდრეებისათვის და უფლებამონაცვლელებისთვის.

2. ხელშეკრულების არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება, გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

3. მესამე პირებთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

#### **მუხლი 15. ქვეკონტრაქტორები და მიმწოდებლის პერსონალი**

1. მიმწოდებელმა წერილობით უნდა შეუთანხმოს შემსყიდველს ხელშეკრულების ფარგლებში ყველა შესაძლო ქვეკონტრაქტორის აყვანის შესახებ, თუ ეს უკვე არ იყო მითითებული სატენდერო წინადადებაში. ხელშეკრულების ფარგლებში დადებული ყველა ქვეკონტრაქტის ასლი უნდა წარედგინოს შემსყიდველს.

2. მიმწოდებელი ვალდებულია, შემსყიდველს წერილობით აცნობოს, თუ რა მოცულობის მომსახურება გადაეცემა ქვეკონტრაქტორს. ქვეკონტრაქტორის მიერ გასაწევი მომსახურების ჯამური მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს გასაწევი მომსახურების მთლიანი მოცულობის 40%-ს.

3. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების პროცესში ქვეკონტრაქტორის შეცვლა ან დამატებითი ქვეკონტრაქტორის აყვანა წინასწარ უნდა შეთანხმდეს შემსყიდველთან.

4. მიმწოდებელი და მისი ქვეკონტრაქტორი ვალდებულნი არიან, დასაპროექტებელ ობიექტზე შეარჩიონ და დანიშნონ ის წამყვანი ინჟინერ-ტექნიკური სპეციალისტები, რომლებიც მოხსენიებული იყო მიმწოდებლის სატენდერო წინადადებაში და მოწონებულია შემსყიდველის მიერ.

5. მიმწოდებელს, საჭიროების შემთხვევაში, უფლება აქვს, დამატებით აიყვანოს სპეციალისტ(ებ)ი მის მიერ სატენდერო წინადადებაში მითითებული მასთან მომუშავე წამყვანი ინჟინერ-ტექნიკური სპეციალისტების სიობრივი რაოდენობის ზევით.

6. მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას, თავისი სატენდერო წინადადებით წარდგენილი ინჟინერ-ტექნიკური პერსონალის ნებისმიერი ცვლილების შემთხვევაში, დაუყოვნებლივ აცნობოს შემსყიდველს წერილობითი სახით და აღნიშნული ცვლილებ(ებ)ის საკითხი შეათანხმოს შემსყიდველთან. ამ შემთხვევაში, ახალი სპეციალისტ(ებ)ის კვალიფიკაცია და სამუშაო გამოცდილება უნდა აკმაყოფილებდეს სატენდერო დოკუმენტაციით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

7. ხელშეკრულებით განსაზღვრული მომსახურების ნაწილის ქვეკონტრაქტორზე გადაცემით მიმწოდებელი არ თავისუფლდება ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებ(ებ)ისგან.

### **მუხლი 16. შეტყობინება**

1. ხელშეკრულების ფარგლებში მხარეებს შორის კომუნიკაცია ხორციელდება წერილობითი ფორმით. ნებისმიერი შეტყობინება (დოკუმენტაცია) მხარეებმა შეიძლება, მიიღონ საფოსტო გზავნილით, შესაბამისი მხარის ოფიციალურ მისამართზე ან/და ოფიციალური ელექტრონული ფოსტის მისამართზე (საჭიროების შემთხვევაში, ორიგინალის შემდგომი წარდგენით).

2. ამ ხელშეკრულებაში, მხარეთა რეკვიზიტებში მითითებული ელექტრონული ფოსტის მისამართი, წარმოადგენს მხარეთა ოფიციალურ ელექტრონულ ფოსტას. ელექტრონული გზავნილი/შეტყობინება მიღებულად ჩაითვლება მისი გაგზავნის დღეს, მიუხედავად იმისა, ადრესატი დაასტურებს თუ არა მის მიღებას. ელექტრონული გზავნილი არ ჩაითვლება მიღებულად, თუ გამგზავნმა მიიღო შესაბამისი საფოსტო სერვერიდან შეტყობინება, რომ ადრესატის მისამართზე გზავნილი არ მივიდა.

3. მხარეები იღებენ ვალდებულებას, რომ შეინარჩუნებენ ხელშეკრულებაში მითითებულ ელექტრონულ ფოსტას აქტიურ მდგომარეობაში, ხოლო მისი ცვლილების შემთხვევაში მომდევნო სამუშაო დღეს წერილობით შეატყობინებენ მეორე მხარეს ახალი ელექტრონული ფოსტის მისამართს. აღნიშნულის თაობაზე შეუტყობინებლობის შემთხვევაში, ელექტრონული შეტყობინება (დოკუმენტაცია) გაიგზავნება ხელშეკრულებაში მითითებულ ელექტრონული ფოსტის მისამართზე და ითვლება მიღებულად.

### **მუხლი 17. კონტროლი (ინსპექტირება)**

1. შემსყიდველს ან მის წარმომადგენელს უფლება აქვს ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი (ინსპექტირება) მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებ(ებ)ის შესრულების მიმდინარეობაზე, მათ შორის, მომსახურების ხარისხის პერიოდულ ინსპექტირებაზე. გაწეული მომსახურების ტექნიკური ინსპექტირება და ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლი (მონიტორინგი) ევალება შემსყიდველის სტრუქტურულ ქვედანაყოფს: **საპროექტო სამსახურს ან მის უფლებამონაცვლეს, კომპეტენციის ფარგლებში - გარემოსა და სოციალურ საკითხთა სამსახურს ან მის უფლებამონაცვლეს, ხოლო, ფინანსური მონიტორინგი – ფინანსების მართვის სამსახურს ან მის უფლებამონაცვლეს.**

2. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში შემსყიდველი უფლებამოსილია, ნებისმიერ დროს განახორციელოს გაწეული მომსახურების ხარისხის ინსპექტირება.

3. მიმწოდებელი ვალდებულია, საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებითა და სხვა სამუშაო პირობებით. იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვით შემსყიდველი.

4. მიმწოდებელი ვალდებულია, საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტ(ებ)ის დაუყოვნებლივ აღმოფხვრა.

5. მომსახურების გაწევის მიმდინარეობაზე შემსყიდველი კონტროლს (ინსპექტირებას) აწარმოებს საქართველოს კანონმდებლობის, ტექნიკური დავალებისა და ხელშეკრულების პირობების შესაბამისად, რომელთა დარღვევის შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია, შეაჩეროს მომსახურების გაწევის მიმდინარეობა და განახორციელოს ხელშეკრულებით და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ზომები.

## **მუხლი 18. კონფიდენციალურობა და კეთილსინდისიერება**

1. მიმწოდებელი (მათ შორის მისი თანამშრომლები და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირები) ვალდებულია დაიცვას ხელშეკრულებით განსაზღვრული მომსახურების შესრულებასთან დაკავშირებული ინფორმაცია/დოკუმენტაცია ან/და დოკუმენტაცია/ინფორმაცია რომელიც მიიღო ხელშეკრულების ფარგლებში ან/და დოკუმენტაცია რომელიც მოამზადა ხელშეკრულების ფარგლებში, არ გადასცეს იგი მესამე პირებს და არ გაავრცელოს საჯაროდ შემსყიდველის წინასწარი თანხმობის გარეშე, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ასეთი ინფორმაციის გაცემა გამოწვეული არის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების უზრუნველსაყოფად ან/და თუ ეს მოთხოვნილია საქართველოს კანონმდებლობით.

2. ამ მუხლის პირველ პუნქტში განსაზღვრულ ქმედებას ამ სახელშეკრულებო ურთიერთობის ფარგლებში მხარეები განიხილავენ როგორც არაკეთილსინდისიერ ქმედებას.

3. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია მიმწოდებლის მიმართ გამოიყენოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის ზომა ან/და ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება ან/და გამოითხოვოს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია სრული ოდენობით.

4. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულება არ არის დამოკიდებული ხელშეკრულების მოქმედების ვადაზე. მიმწოდებელი ვალდებულია აღნიშნული ვალდებულება დაიცვას ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლის შემდეგაც. ამ პუნქტის დარღვევის შემთხვევაში მხარეები თანხმდებიან, რომ მიმწოდებელი შემსყიდველს პირგასამტეხლოს სახით გადაუხდის ხელშეკრულების ღირებულების 10 %-ს. ამასთან, შემსყიდველი იტოვებს უფლებას მოითხოვოს მიმწოდებლისაგან ზიანის ანაზღაურება.

## **მუხლი 19. სხვა პირობები**

1. ხელშეკრულებაში შესატანი ნებისმიერი ცვლილება ან დამატება უნდა გაფორმდეს მხარეთა შორის წერილობითი შეთანხმების საფუძველზე ხელშეკრულების დანართის გაფორმების გზით. ამ პუნქტის შესაბამისად გაფორმებული ხელშეკრულების დანართი მხარეთა ხელმოწერისთანავე წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

2. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულებით განსაზღვრული მომსახურების გაწევის დროს ხელშეკრულების ღირებულებისა და ანგარიშსწორებიდან გამომდინარე ან რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზის გამო წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, მათ შორის, ფასების გადასინჯვის აუცილებლობა, ასეთი ცვლილებები დასაშვებია ხელშეკრულების საერთო შინაარსის ფარგლებში. ცვლილებების ან/და დამატებების შეტანის ინიციატორი მხარე ვალდებულია, წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი დასაბუთებული ინფორმაცია.

3. ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

4. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში დაუშვებელია თავდაპირველად დადებული ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

5. ხელშეკრულება რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

6. მხარეთა შორის წარმოშობილი სადავო საკითხები წყდება ურთიერთშეთანხმების გზით. მხარეთა მიერ შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავა გადაწყდება საქართველოს სასამართლოს მეშვეობით საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

7. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ელექტრონული დოკუმენტის ფორმით, მასზე შესრულებულია ელექტრონული ხელმოწერა ან/და დასმულია კვალიფიციური ელექტრონული შტამპი, „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების შესაბამისად.

8. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

9. მიმწოდებლის ხარჯთაღრიცხვა (დანართი N1), ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის უპირობო საბანკო გარანტია და ტექნიკური დავალება თან ერთვის ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

**მუხლი 20. ხელშეკრულების მოქმედების ვადა**

ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან - **2028 წლის 14 მაისის ჩათვლით**, გარდა ხელშეკრულებით განსაზღვრული იმ ვალდებულებებისა, რომელთა არსებობაც არ არის დამოკიდებული ხელშეკრულების მოქმედების ვადაზე.

**მხარეთა ხელმოწერები:**

**შემსყიდველი:**

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი

-----  
სალომე წურჭუმია

**მიმწოდებელი:**

სმეჯ ინტერნეიშენალ ფითიუაი ლიმიტედის ფილიალი საქართველოში

  
-----

კავა ბაჰა

## ფასების ცხრილი

#	შესყიდვის ობიექტის დასახელება	მომსახურების ღირებულება დღგ-ს ჩათვლით
1	ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთება	1,036,000.00
2	დეტალური საპროექტო დოკუმენტაციის მომზადება საერთაშორისო მნიშვნელობის თბილისისენაკი-ლესელიძე (რუსეთის ფედერაციის საზღვარი) საავტომობილო გზის კმ17-კმ28 მონაკვეთის (თბილისი-ნატახტარი) მოდერნიზაციამშენებლობის	4,144,000.00
ჯამური ღირებულება:		5,180,000.00

**სავალდებულო მოთხოვნა:** ფასების ცხრილის პირველ პოზიციაზე მითითებული მომსახურების (ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთება) ფასი უნდა შეადგენდეს სატენდერო წინადადების ღირებულების არაუმეტეს 20%-ს.

Nino  
Jincharadze  
01017039890



Digitally signed by  
Nino Jincharadze  
Date: 2023.11.21  
19:03:33

ტექნიკურ - ეკონომიკური დასაბუთებისა და დეტალური საპროექტო დოკუმენტაციის მომზადება საერთაშორისო მნიშვნელობის თბილისი-სენაკი-ლესელიძე (რუსეთის ფედერაციის საზღვარი) საავტომობილო გზის კმ17-კმ28 მონაკვეთის (თბილისი-ნატახტარი) მოდერნიზაცია-მშენებლობის

ტექნიკური დავალება

## ტექნიკური დავალება

ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთებისა და დეტალური საპროექტო დოკუმენტაციის მომზადება საერთაშორისო მნიშვნელობის თბილისი-სენაკი-ლესელიძე (რუსეთის ფედერაციის საზღვარი) საავტომობილო გზის კმ17-კმ28 მონაკვეთის (თბილისი-ნატახტარი) მოდერნიზაცია-მშენებლობის

### 1. პროექტის მიმოხილვა

საქართველოს, რომელიც წარმოადგენს ევროპისა და აზიის სატრანსპორტო დერეფანს, გააჩნია გლობალური ეკონომიკის რეგიონში მთელი რიგი ქვეყნების დაკავშირების პოტენციალი. საზღვაო გზები, რომლებიც თავს იყრიან შავი ზღვის სანაპიროს ნავსადგურებში - ფოთში, სოხუმსა და ბათუმში, ასევე რუსეთის ფედერაციიდან და თურქეთიდან შემომავალი გზები, უერთდებიან E60 და E70 ავტომარშრუტებს, რათა დაუკავშირდნენ კასპიის ზღვაზე მდებარე ბაქოს (აზერბაიჯანი) ნავსადგურს. აქედან გამომდინარე, მთელი რიგი პროექტები იქნა ინიცირებული საქართველოს მთავრობის მიერ, რათა მოხდეს სახმელეთო ტრანსპორტის როგორც ფიზიკური, ასევე ფუნქციონალური მდგომარეობის გაუმჯობესება საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების დახმარებით, როგორც არის მსოფლიო ბანკი, ევროპის საინვესტიციო ბანკი, აზიის განვითარების ბანკი, იაპონიის საერთაშორისო განვითარების სააგენტო და აზიის ინფრასტრუქტურის საინვესტიციო ბანკი.



E60 და E70 ავტომარშრუტების ადგილმდებარეობა ტრასეკას მარშრუტზე.

აღმოსავლეთ-დასავლეთ ჩქაროსნული მაგისტრალის სამშენებლო სამუშაოები დასკვნით ფაზაშია, აღნიშნული მაგისტრალი არის სტრატეგიული პროექტი და მთავრობა ძალისხმევას არ იშურებს, რომ საქართველო იქცეს ვაჭრობის სატრანსპორტო და ლოჯისტიკურ კვანძად ერთის მხრივ შუა აზიასა და შორეულ აღმოსავლეთს და მეორეს



მხრივ კი თურქეთსა და ევროპას შორის სავაჭროდ. აღმოსავლეთ-დასავლეთ ჩქაროსნული მაგისტრალის დაკავშირება საზღვრის კვეთის ძირითად პუნქტებთან მნიშვნელოვანია საქართველოსათვის აბრეშუმის გზის ფარგლებში სატრანზიტო ქვეყნის როლის გაზრდის კუთხით.

საერთაშორისო მნიშვნელობის თბილისი-სენაკი-ლესელიძის (რუსეთის ფედერაციის საზღვარი) საავტომობილო გზის კმ17-კმ28 მონაკვეთი წარმოადგენს თბილისი-ნატახტარის მონაკვეთს, სადაც ასევე იწყება საერთაშორისო მნიშვნელობის მცხეთა-სტეფანწმინდა-ლარსის (რუსეთის ფედერაციის საზღვარი) საავტომობილო გზა, რომელზეც სადღეღამისო წლიური ინტენსიობა საკმაოდ მაღალი და ყოველწლიურად მზარდია, რისთვისაც საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ მომზადებულია საპროექტო დოკუმენტაცია წინამური-ჟინვალის მონაკვეთის 4 ზოლიანი ჩქაროსნული ავტომაგისტრალის მშენებლობისთვის.

ამასთან, საავტომობილო გზის აღნიშნულ მონაკვეთში მდებარეობს ქ. მცხეთა (კმ 20), რომელსაც ყოველდღიურად უამრავი ტურისტი სტუმრობს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს მთავრობის მიერ გატარებული წარმატებული საგარეო და საშინაო პოლიტიკის შედეგად, მნიშვნელოვნად არის გაზრდილი აღნიშნული მიმართულებით სატრანსპორტო ნაკადების ინტენსიობა და ყოველწლიურად მზარდია, როგორც საერთაშორისო ასევე შიდა ტურისტების გადაადგილების რიცხვი, დღეისათვის არსებული მონაცემების მიხედვით, 2022 წელს ჩატარებული წლიური სადღეღამისო ინტენსიობის გაზომვების (რომელიც ტარდება ს/გზის 18-ე და 28-ე კმ-ზე), შედეგად საავტომობილო გზის აღნიშნულ მონაკვეთებზე საშუალო წლიური სატრანსპორტო ნაკადების ინტენსიობამ შეადგინა 47 688 და 29 414 ავტომანქანა დღე-ღამეში, ხოლო ტურისტული სეზონის პერიოდში (ივლისის თვე) სატრანსპორტო ნაკადების ინტენსიობამ შეადგინა 65 902 და 23 094, რაც ერთეულ მსუბუქ ავტომანქანაზე დაყვანილი ინტენსიობით გულისხმობს 52 488 და 32 546 ავტომანქანას, ხოლო ივლისის თვეში კი 72 154 და 25 847 ერთ მსუბუქ ავტომანქანას დღე-ღამეში.

საავტომობილო გზის თბილისი-ნატახტარის მონაკვეთს, თავისი პარამეტრების გათვალისწინებით შეუძლია გაატაროს 40 000 ავტომანქანა დღე-ღამეში დაყვანილი ინტენსიობის შესაბამისად.

პროექტირების ეტაპზე გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ მიმდინარეობს დეტალური საპროექტო დოკუმენტაციის მომზადების პროცედურები ნატახტარი-რუსთავის მონაკვეთის (თბილისის შემოვლითი გზა), რომლის ლოტი 1 და ლოტი 2-ის ფარგლებში გათვალისწინებული კვანძები ზედდებამია თბილისი სენაკი ლესელიძის საავტომობილო გზის კმ23-კმ25 (კმ22+070-კმ24+895 მარჯვენა მიმართულება და კმ22+140-კმ24+715 მარცხენა მიმართულება) მონაკვეთთან,

პ.ს აღნიშნულის შესახებ ზუსტი ინფორმაციის გაზიარება მოხდება ხელშეკრულების გაფორმების შემდგომ.

საპროექტო მონაკვეთი იწყება საერთაშორისო მნიშვნელობის თბილისი-სენაკი-ლესელიძის (რუსეთის ფედერაციის საზღვარი) საავტომობილო გზის კმ16 -დან და უნდა დასრულდეს ამავე საავტომობილო გზის და საერთაშორისო მნიშვნელობის მცხეთა-სტეფანწმინდა-ლარსის (რუსეთის ფედერაციის საზღვარი) საავტომობილო გზის შერწყმისა და განშტოების ადგილზე სატრანსპორტო კვანძე, ისე რომ პროექტმა გაითვალისწინოს აღნიშნული სატრანსპორტო კვანძის მოდერნიზაციის სამუშაოები. გზის სავარაუდო სიგრძე იქნება 13 კმ.

საჭირო მომსახურების დეტალური აღწერა მოცემულია ქვევით.

## მიზნები

საქართველოს მთავრობა, თავისი უწყების - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მეშვეობით საჭიროებს საკონსულტაციო მომსახურებას შემდეგი ღონისძიებების განსახორციელებლად:

1. **ღონისძიება 1:** საერთაშორისო მნიშვნელობის თბილისი-სენაკი-ლესელიძე (რუსეთის ფედერაციის საზღვარი) საავტომობილო გზის კმ17-კმ28 მონაკვეთის (თბილისი-ნატახტარი) მოდერნიზაცია-მშენებლობის ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების კვლევა; პროექტის განხორციელებადობის დადგენა.
2. **ღონისძიება 2:** საერთაშორისო მნიშვნელობის თბილისი-სენაკი-ლესელიძე (რუსეთის ფედერაციის საზღვარი) საავტომობილო გზის კმ17-კმ28 მონაკვეთის (თბილისი-ნატახტარი) მოდერნიზაცია-მშენებლობის დეტალური საპროექტო დოკუმენტაციის მომზადება, რაც საშუალებას მისცემს დამკვეთს მშენებლობისათვის შეისყიდოს სამშენებლო სამუშაოების ხელშეკრულება.

შენიშვნა: აღნიშნული დავალება განხორციელდება ორი განსხვავებულ, მაგრამ თანმიმდევრულ ფაზაში, რომელიც მოიცავს 1 და 2 ღონისძიებებს. ტექნიკური და ფინანსური წინადადებები მკაფიოდ უნდა ასახავდეს აღნიშნულ ეტაპებს/ფაზებს სამუშაოების მოცულობების აღწერილობის, მეთოდოლოგიის, პერსონალით დაკომპლექტებისა და ხარჯების ნაწილში. საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი მიიღებს გადაწყვეტილებას მე-2 ღონისძიების გაგრძელებაზე ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევის შედეგებისა და მიგნებების საფუძველზე.

ღონისძიება 1-ის მიგნებებში გამოკვეთილი რეკომენდაციების შედეგების საფუძველზე, დამკვეთი იტოვებს უფლებას გააგრძელოს აღნიშნული დავალება. დამკვეთს აქვს უფლება შეაჩეროს ხელშეკრულება.

**ღონისძიება 1:** ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების მომზადება საერთაშორისო მნიშვნელობის თბილისი-სენაკი-ლესელიძე (რუსეთის ფედერაციის საზღვარი) საავტომობილო გზის კმ17-კმ28 მონაკვეთის (თბილისი-ნატახტარი) მოდერნიზაცია-მშენებლობისთვის:

## ზოგადი

ამ დავალების ძირითადი მიზანია ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევის მომზადება საერთაშორისო მნიშვნელობის თბილისი-სენაკი-ლესელიძე (რუსეთის ფედერაციის საზღვარი) საავტომობილო გზის კმ17-კმ28 მონაკვეთის (თბილისი-ნატახტარი) მოდერნიზაცია-მშენებლობისთვის, ტექნიკური, გარემოს დაცვითი, სოციალური და ეკონომიკური ანალიზის სრულფასოვანი შეფასების საფუძველზე.

ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევის მომზადებისას, კონსულტანტმა, ხარჯების ეფექტიანობის მიღწევის მიზნით, უნდა განახორციელოს ალტერნატიული მიმართულებების ანალიზი და მულტიფუნქციური შედარების საფუძველზე უპირატესობა მიენიჭოს ერთ-ერთ ვარიანტს.

კვლევაში განხილული უნდა იყოს საინჟინრო გადაწყვეტილებების შედარებითი ხარჯები და გამოვლენილი უნდა იქნას საინჟინრო და გარემოსდაცვითი უპირატესობები და არახელსაყრელი პირობები. ასევე გათვალისწინებული უნდა იქნას სამომავლო მოვლა-შენახვის მოთხოვნები.

კონსულტანტმა უნდა მოამზადოს სრულყოფილი ანგარიში ტექნიკურ-ეკონომიკურ კვლევაზე, რომელშიც აღწერილი იქნება საინჟინრო-ტექნიკური ვარიანტები, გარემოსდაცვითი და სოციალური შეზღუდვები, მოძრაობის ანალიზი, ხარჯთაღრიცხვები, ეკონომიკური ანალიზი, მიგნებები/შედეგები და რეკომენდაციები.

კონსულტანტი მოამზადებს განსახლების პოლიტიკის ჩარჩო-დოკუმენტს, რომელშიც გაწერილი იქნება კერძო საკუთრებაში არსებული მიწის შეძენის, ადგილობრივი ოჯახებისა და კომერციული საწარმოების ფიზიკური ადგილმონაცვლეობის, შემოსავლების დაკარგვისა და პროექტის განხორციელებით გამოწვეული სხვა სოციალური შედეგების პოლიტიკა და პროცედურები.

იმისათვის, რომ სგდ-ს ხელმძღვანელობამ შეძლოს სხვადასხვა დაფინანსების წყაროებისა და მეთოდოლოგიების უზრუნველყოფა, თუ საჭირო იქნა საპროექტო კორიდორი დაიყოფა „ლოტებად“, რომელთა განმსაზღვრელი კრიტერიუმები შემუშავდება და სამშენებლო ხარჯები განისაზღვრება კონსულტანტის მიერ.

### **მონაცემთა შეგროვება**

დამკვეთი მიაწვდის კონსულტანტს ყველა ხელთ არსებულ მონაცემს (მათ შორის ნატახტარი-რუსთავის მონაკვეთის (თბილისის შემოვლითი გზა) პროექტის ფარგლებში თბილისი-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო გზის კმ23-კმ25 დაპროექტებულ სატრანსპორტო კვანძებს) და ინფორმაციას, რომელიც დაკავშირებულია წინამდებარე ტექნიკური დავალებით განსაზღვრული მომსახურების განსახორციელებლად.

კონსულტანტი და მისი წამყვანი ექსპერტები მოაგროვებენ და შეისწავლიან კორიდორის ტოპოგრაფიულ, გეოლოგიურ და ჰიდროგეოლოგიურ მახასიათებლებს და მათ ზემოქმედებას საპროექტო გზაზე. ამ მონაცემების კიდევ უფრო გამდიდრების მიზნით, კონსულტანტს შეუძლია განახორციელოს კვლევები, გამოცდები, სხვა სამუშაოები და შესწავლა, რაც დაეხმარება ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევის მომზადების ოპტიმიზაციაში.

### **კვლევითი სამუშაოები**

კონსულტანტი მოამზადებს რელიეფის ციფრულ მოდელს (DEM) 1:2000 მასშტაბში, რომელშიც დამკვეთის თანხმობით, მოცული იქნება საპროექტო გზის გასწვრივ მიწის

საკმაოდ დიდი ზოლი. წარმოსადგენი მასალები უნდა მოიცავდეს (მაგრამ ამით არ უნდა შემოიფარგლებოდეს) ჰორიზონტალურ გეგმას 1:2000 მასშტაბში, და გრძივ პროფილს მასშტაბში 1:2000h/1:200v, და ჭრილებს ყველა 50 მ-ში 1:200 მასშტაბით, ასევე კონკრეტულ ადგილმდებარეობებს, როგორც არის ხიდები, ყრილები და ჩამოჭრილი ქანობები, გვირაბის პორტალები, კვანძები და აშ.

კონსულტანტმა უნდა განახორციელოს პროექტის ეკონომიკური შეფასება ტექნიკური სირთულეების, მშენებლობის ხარჯების, სოციალური და გრძელ ვადიანი ეკონომიკური სარგებლის თვასაზრისით.

### **სატრანსპორტო ნაკადები და ანალიზი**

არსებული სტატისტიკური მონაცემების ანალიზის საფუძველზე, ასევე შესაბამისი მოძრაობის დათვლების წარმოებისა და კვლევების ჩატარებით, მათ შორის მოძრაობის საწყისი და საბოლოო დანიშნულების პუნქტების შესახებ გამოკითხვის (O/D survey) მეთოდების გამოყენებით, კონსულტანტმა უნდა განსაზღვროს გზებზე არსებული სატრანსპორტო ნაკადების ტიპი და მოცულობა, ასევე განსაზღვროს სატრანსპორტო მოძრაობის შემადგენლობა, განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილოს რა სატრანზიტო მოძრაობაზე. კონსულტანტმა, მოთხოვნისამებრ, უნდა განახორციელოს სხვა საველე კვლევები.

კონსულტანტმა ცალკე უნდა მოამზადოს სატრანსპორტო მოძრაობის ნაკადების კვლევის გეგმა და კვლევების დაწყებამდე წარუდგინოს დეპარტამენტს განსახილველად და დასამტკიცებლად.

სატრანსპორტო ნაკადის კვლევები მოიცავს:

- (i) ინფორმაციას არსებული სატრანსპორტო ნაკადის შემადგენლობის, ინტენსივობისა და მოცულობის შესახებ;
- (ii) ტრანზიტული გადაზიდვების დამოუკიდებელი ანალიზი და მისი პროგნოზი განხორციელდება მოძრაობის ნაკადების კვლევის შედეგების და ნებისმიერი შესაფერისი მეთოდოლოგიის საფუძველზე რეგიონალური და საერთაშორისო სავაჭრო ნაკადების გათვალისწინებით;
- (iii) ჩვეულებრივი, შექმნილი და გადართული მოძრაობის ნაკადებისაგან შემდგარი წლიური საშუალო დღიური მოძრაობის პროგნოზი შესაბამისი ავტოსატრანსპორტო საშუალების ტიპის მიხედვით.

სატრანსპორტო ნაკადების კვლევა გაგრძელდება 1 კვირის განმავლობაში და მოხდება სატრანსპორტო საშუალებების დათვლა დღის განმავლობაში და მინიმუმ ერთხელ დამის განმავლობაში. საჭიროებისამებრ, კონსულტანტმა უნდა დაეყოს გზა სექციებად, და ჩაატაროს სატრანსპორტო ნაკადების შესაბამისი ანალიზი და კვლევა.

კონსულტანტმა წინასწარ უნდა წარუდგინოს დამკვეთს დასამტკიცებლად სატრანსპორტო ნაკადების კვლევის დეტალური წინადადება.

რეგიონის ეკონომიკური განვითარებისა და მომავალი საგზაო ტრანსპორტის საჭიროების გათვალისწინებით, კონსულტანტი იდენტიფიცირებას გაუკეთებს, აღწერს და რაოდენობრივად განსაზღვრავს სატრანსპორტო ნაკადების წარმოშობის ამჟამინდელ და პოტენციურ ფაქტორებს როგორც არსებულ, ასევე მომავალი გაუმჯობესების შედეგად მიღებულ გზის მონაკვეთებზე. ამგვარი საჭიროება ყველაფერთან ერთად განპირობებული იქნება შემდეგი ფაქტორებით:

- მოსახლეობის ზრდა და ცვლილებები სოფლის ურბანული მოსახლეობის განაწილებაში;
- ეროვნული და რეგიონული ეკონომიკური ზრდა;
- სოფლის მეურნეობის, მრეწველობის, ვაჭრობისა და ტურიზმის განვითარება საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ;
- სოციალური მომსახურების სამსახურებისა და სკოლების განვითარება;
- კონსულტანტის მიერ გამოვლენილი სხვა ფაქტორები.

ანალიზის საფუძველზე, კონსულტანტის მიერ წარმოდგენილი იქნება:

- წლიური სატრანსპორტო ნაკადის დეტალური პროგნოზი გზის მშენებლობის დასრულებიდან 10 წლის განმავლობაში;
- სატრანსპორტო ნაკადის უფრო ზოგადი პროგნოზირება მომავალი 20 წლის განმავლობაში.

მიუხედავად იმისა, რომ პროექტის განხორციელების ეტაპზე მეტი აქცენტი კეთდება ზუსტ პროგნოზირებაზე, სატრანსპორტო ნაკადების მოძრაობის ყველა პროგნოზი მოცემული იქნება ზრდის სამი - დაბალი, საშუალო და მაღალი დონისთვის. კონსულტანტი შეარჩევს პროგნოზის სამი დონიდან ერთ-ერთს პროექტის საბოლოო შეფასების ანგარიშში გამოსაყენებლად, ამასთან მიუთითებს შერჩევის მიზეზს და დანარჩენ ორ დონეს გამოიყენებს სენსიტიურობის ანალიზში.

ტრანსპორტის მოძრაობის საბოლოო პროგნოზის შემუშავებისას, კონსულტანტმა ყურადღება უნდა გაამახვილოს სატრანსპორტო ნაკადებში სხვადასხვა სატრანსპორტო საშუალებების მომავალ შემადგენლობაზე. სათანადო ყურადღება უნდა დაეთმოს ტრანსპორტის ზომისა და ტიპის ცვლილებებს, რასაც განპირობებს გზების მდგომარეობის გაუმჯობესება.

კონსულტანტმა უნდა დაიანგარიშოს/შეისწავლოს არსებულ 4-ზოლიან გზაზე საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევების შედეგები, სახეობები, მიზეზები და საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევების პროცენტულობა და შეაფასოს ახალ მოდერნიზებულ გზაზე საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევების შედეგები, სახეობების, მიზეზების და საგზაო სატრანსპორტო შემთხვევების პროცენტულობის მოსალოდნელი შემცირება.

კონსულტანტმა უნდა დაიანგარიშოს არსებულ გზაზე საჭირო მგზავრობის დრო და უნდა დაადგინოს მოსალოდნელი მგზავრობის დრო ახალ მოდერნიზებულ გზისათვის.

### **საპროექტო სტანდარტები**

ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევის ერთ ერთ უმნიშვნელოვანეს მიზანს წარმოადგენს გზის მშენებლობის, ისევე როგორც მოვლა-შენახვის ხარჯების მინიმუმამდე დაყვანა, რათა უზრუნველყოფილი იქნეს პროექტის ეკონომიკური მიზანშეწონილობა. იმის გათვალისწინებით, რომ რაც უფრო მაღალია გეომეტრიული სტანდარტები ღირებულებაც უფრო მატულობს, საჭიროა გზის სტანდარტების გონივრული შემცირება. შესაბამისად, კონსულტანტმა უნდა შეაფასოს და რეკომენდაცია გაუწიოს იმგვარ საპროექტო სტანდარტებს, რომლებიც დააბალანსებს პროექტის განხორციელებასთან დაკავშირებულ ხარჯებს. კონსულტანტმა უნდა გაითვალისწინოს, რომ აღნიშნული პროექტი არის არსებული გზის მოდერნიზება,

### **გზამკვლევი**

დოკუმენტაცია ასევე უნდა მოიცავდეს „საინვესტიციო პირობების მართვის გზამკვლევის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 22 აპრილის #191 დამტკიცებული გზამკვლევი.

### **გარემოსდაცვითი ანალიზი**

კონსულტანტმა უნდა ჩაატაროს ანალიზი, რომელშიც დეტალურად იქნება აღწერილი პროექტის განხორციელების პოზიტიური და ნეგატიური მხარეები გარემოზე ზემოქმედების თვალსაზრისით და რეკომენდაციას გაუწევს შესაფერის გადაწყვეტილებას, რათა მინიმუმამდე იქნას დაყვანილი არასასურველი შედეგები.

ანალიზი მოიცავს შემდეგს და არა მხოლოდ:

1. პროექტის როლი განვითარების გეგმებში სახელმწიფო და რეგიონულ დონეზე;
2. უნიკალური მიკროკლიმატის თვალსაზრისით განსაკუთრებული ღირებულებების მქონე ტერიტორიების დაცვა და მიწების გამოყენება, მათ შორის სასოფლო-სამეურნეო და ბუნებრივი კონსერვაციის ადგილების, ტყეების და სხვა

მნიშვნელოვანი ბუნებრივი რესურსების, კულტურული და ისტორიული ადგილების დაცვა/შენარჩუნება;

3. ტყის მასივებზე პირდაპირი ზემოქმედების შეფასება;
4. მწვანე საფარის დაზიანება და მისი აღდგენა და ბიომრავალფეროვნების შენარჩუნება;
5. ნიადაგის ეროზიისა და სედიმენტაციის პრევენცია;
6. დატბორვისა და წყლის ნაკადების და/ან სათავეების დაბინძურებით გამოწვეული ჯანმრთელობისათვის საშიში ფაქტორების პრევენცია;
7. სამშენებლო მასალების წყაროების, კარიერებისა და ქვის სამტეხლოების რეაბილიტაციისათვის საჭირო ღონისძიებები;
8. გზის მშენებლობაში მონაწილე მუშახელისათვის გამოყოფილი ადგილების უზრუნველყოფა სისუფთავითა და კანალიზაციით;
9. სამშენებლო უბანზე შეჭრის თავიდან აცილება და შემცირება; და
10. დემოგრაფიული ფაქტორების ზეგავლენის შეფასება, მათ შორის, არასასურველი გზისპირა მშენებლობის პრევენცია და რეკომენდებული რეგულაციები და ღონისძიებები მომიჯნავე დასახლებასა და ტერიტორიებზე უარყოფითი ზეგავლენის შესამცირებლად.

### **სავარაუდო ღირებულება**

ზემოაღნიშნული ანალიზისა და დასკვნების საფუძველზე კონსულტანტმა უნდა წარმადგინოს დაგეგმილი გზის მშენებლობისათვის წინასწარი მოცულობების გაანგარიშება +/-10-15%-იანი სიზუსტით. ძირითადი მოცულობები მოიცავს მიწის სამუშაოებს, საფუძვლის ქვედა ფენის მასალებს, საფუძვლისა და საფარის მასალებს, სადრენაჟე ნაგებობების რაოდენობასა და ზომებს, დიდ ხიდებს და სხვა დიდ ნაგებობებს.

### **ეკონომიკური ხარჯები**

კონსულტანტმა უნდა გამოიკვლიოს ყველა ხელმისაწვდომი ინფორმაცია სატრანსპორტო საშუალებების საექსპლოატაციო ხარჯების და გზების მოვლა-შენახვის ხარჯების შესახებ და წარმოადგინოს საპროექტო გზის ამჟამინდელი და გაუმჯობესებული მდგომარეობისათვის აღნიშნული ხარჯების ობიექტური შეფასებები.

ვინაიდან, გზის გაუმჯობესების შედეგად მიღებული მომხმარებელთა გაზომვადი და დათვლადი სარგებელის უმაღლესი ელემენტები, პრაქტიკულად გამომდინარეობს სატრანსპორტო საშუალებების საექსპლოატაციო ხარჯების ეკონომიიდან, კონსულტანტმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა გაამახვილოს ამგვარი ხარჯების ობიექტურ შეფასებებზე, რომელიც გამოყენებული იქნება როგორც მთლიანად

საქართველოში, ასევე კონკრეტულად მოცემულ საპროექტო გზაზე. თუკი გამოიყენება კომპიუტერული ავტომაგისტრალის საინვესტიციო მოდელი (HDM IV), რომელიც ეფუძნება რომელიმე საერთაშორისო სააგენტოს ან კვლევითი ორგანიზაციის მიერ შემუშავებულ რომელიმე პროგრამას, კონსულტანტმა უნდა უზრუნველყოს, რომ ყველა ინდივიდუალური ფაქტორების ერთეულის ფასები (როგორც არის საბურავები, საწვავი, ხელფასები, ნაწილები, მოვლა-შენახვა, დაზღვევა), რომლებიც შეტანილია მოდელში, გამომდინარეობდეს მიწოდების ადგილობრივი წყაროების პირდაპირი კვლევიდან/ანალიზიდან.

კონსულტანტმა უნდა წარმოადგინოს HDM-IV ფაილები (მონაცემები და ინდექსები), რომელშიც მკაფიოდ იქნება ასახული დაშვებები და ამოსავალი მონაცემები, რომელიც გამოყენებული იქნა ეკონომიკური შეფასების მომზადებისას.

გარდა ამისა, კონსულტანტმა უნდა უზრუნველყოს, რომ ავტომაგისტრალის მახასიათებლების ინდივიდუალური პარამეტრები, როგორც არის სიმაღლე, ამალღება ან დაქანება, სიმრუდე და აშ, რომლებიც ჩადებულია მოდელში სატრანსპორტო საშუალებების საექსპლოატაციო ხარჯების სხვადასახვა კომპონენტების განსაზღვრის მიზნით, იყოს იგივე, რომელიც გამოიყენება ინდივიდუალური საპროექტო სტანდარტებისათვის. შესაძლოა ვივარაუდოთ, რომ თუ კვლევის მიმდინარეობის დროს გამოიკვეთა საპროექტო სტანდარტების მნიშვნელოვნად განსხვავებული პარამეტრები, აღნიშნული სხვაობები აისახება სატრანსპორტო საშუალებების საექსპლოატაციო ხარჯებზე.

კონსულტანტმა ანგარიშებში დეტალურად უნდა ასახოს სატრანსპორტო საშუალებების მიმდინარე საექსპლოატაციო ხარჯების შეფასებების/გაანგარიშებების შემუშავებისას გამოყენებული ყველა მონაცემები, დაშვებები და პარამეტრები.

გზების მოვლა-შენახვის ხარჯებთან მიმართებაში, კონსულტანტმა უნდა უზრუნველყოს, რომ ეს ხარჯები მკაცრად დაკავშირებული იყოს მიმდინარე და პროგნოზირებად მოცულობებთან, და ანგარიშებში დეტალირად უნდა იქნას აღწერილი მიმდინარე და სამომავლო მოვლა-შენახვის ხარჯების გაანგარიშებების შემუშავებისას გამოყენებული ყველა მონაცემები, დაშვებები და პარამეტრები.

პროექტში ყველა ფაქტორის ეკონომიკური ხარჯების განსაზღვრისას, კონსულტანტმა უნდა უზრუნველყოს, რომ ყველა ხარჯი იყოს წმინდა, გადასახადებისა და მოსაკრებლების გარეშე, ან მთავრობისათვის ტრანსფერული გადახდების გარეშე, და თუ საჭიროა დაფარულად განფასდეს გამოყენებული რესურსების განსაზღვრული დეფიციტის ნამდვილი ღირებულების ასახვის მიზნით.



## ეკონომიკური შეფასება

კონსულტანტმა უნდა შეაფასოს გზის ეკონომიკური რენტაბელობა გზის მშენებლობის დასრულებიდან 20 წლიანი პერიოდისათვის. ეკონომიკური შეფასება უნდა გაკეთდეს საგზაო საფარის განსხვავებული მიმართულების მინიმუმ ორ საპროექტო სტანდარტზე, საჭირო მისასვლელი გზებით. ამ მიზნით, მოხდება საგზაო საფარის საპროექტო სტანდარტის მშენებლობის შეფასებული ეკონომიკური ხარჯების შედარება მომხმარებლის ეკონომიკური სარგებელის შესაბამის დონესთან, რომელიც მიღებული იქნა სხვადასხვა საპროექტო დონეებზე პროექტის განხორციელების შედეგად, და ოპტიმალურ საპროექტო დონედ მიიჩნევა და შეირჩევა ის საპროექტო სტანდარტი, რომელიც უზრუნველყოფს მომხმარებელთა მიერ დანახარჯებთან მიმართებაში ყველაზე დიდი სარგებელის მიღებას.

მომხმარებელთა სარგებელი, პირველ რიგში, გამოიხატება შემდეგში:

- ა) სატრანსპორტო საშუალებების საექსპლოატაციო ხარჯების ეკონომია/შემცირება;
- ბ) გზების მოვლა-შენახვის ხარჯების ეკონომია/შემცირება;
- გ) შეფასების პერიოდის დასრულებისას საგზაო სამოსის ნარჩენი ღირებულება;
- დ) ნებისმიერი სხვა ფაქტორი, რომელიც კონსულტანტმა შეიძლება გაითვალისწინოს ანალიზის დროს.

იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ გზების გაუმჯობესების შედეგად მიღებული ბევრი არაპირდაპირი ეკონომიკური და სოციალური სარგებელი არის „არამატერიალური“ ან ზუსტად რაოდენობრივად რთულად დასათვლელი, კონსულტანტმა უნდა მოახდინოს ამ სარგებელის დეტალური ხარისხობრივი ანალიზი.

მხოლოდ ის სარგებელი უნდა იქნას შეტანილი ეკონომიკურ ანალიზში, რომელიც გამოსახული იქნება რაოდენობრივად. ყველა დანარჩენ სხვა შემთხვევაში, აღნიშნული სარგებელი არ იქნება გათვალისწინებული პროექტის ეკონომიკურ შეფასებაში, თუმცა შესაძლოა გამოყენებული იქნას როგორც პროექტის განხორციელების მეორადი დასაბუთება.

შეფასებები გამოიხატება შემდეგით:

- ეკონომიკური მოგების შიდა ნორმა;
- წმინდა დისკონტირებული ღირებულება მთავრობის მიმდინარე კაპიტალის ღირებულებასთან 6 პროცენტიანი ფასდაკლების სააღრიცხვო განაკვეთით;
- წმინდა დისკონტირებული ღირებულება საინვესტიციო ხარჯებზე;
- ხარჯ-სარგებლიანობის კოეფიციენტი;

- პირველი წლის მოგების ნორმა.

კონსულტანტმა ასევე უნდა მოამზადოს სენსიტიურობის ანალიზი საბოლოოდ შერჩეული საპროექტო სტანდარტების შედეგებზე. სატრანსპორტო ნაკადების დონეების პროგნოზის გარდა, ყველა ხარჯი და სარგებელი უნდა მერყეობდეს +/-10-15%-მდე ან სხვა დონემდე, რომელიც მიიჩნევა ანალიზისათვის მართებულად და უნდა შეთანხმდეს დამკვეთთან.

კონსულტანტმა უნდა წარმოადგინოს შედეგები მულტი-კრიტერიუმის ცხრილის ფორმატში, რომელიც როგორც მინიმუმ უნდა მოიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

- გზის სიგრძე
- გზის სიგანე
- საფარის კონსტრუქცია
- საინვესტიციო ხარჯები
- განსახლების ხარჯები
- გარემოს დაცვითი ხარჯები
- წლიური მოვლა-შენახვის ხარჯები
- მოსალოდნელი ნორმალური მოძრაობის ინტენსივობა გახსნისას
- მოსალოდნელი გენერირებული/ინდუცირებული მოძრაობა გახსნისას
- მოძრაობის მოსალოდნელი გადართვა გახსნისას
- მოძრაობის ინტენსივობა სულ გახსნისას
- მგზავრობის დრო ავტომობილებისათვის
- დაღუპვის სიხშირე
- ეკონომიკური მოგების შიდა ნორმა
- წმინდა დისკონტირებული ღირებულება
- მოსახლეობა, რომელსაც მოემსახურება გზა
- უპირატესობები
- არახელსაყრელი პირობები

კონსულტანტმა უნდა წარმოადგინოს არსებული გზის ამჟამინდელი მიმართულება და თოთოეული შემოთავაზებული ალტერნატივის მიმართულება Google Earth-ზე და მიაწოდოს დამკვეთს შესაბამისი Google Earth ფაილები (.kmz).

## ღონისძიება I-ის ხანგრძლივობა

ღონისძიება 1-ის ხანგრძლივობა - ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევისათვის გამოყოფილია 6 თვე,

## ღონისძიება 1-ის ფარგლებში წარმოსადგენი მასალები

კონსულტანტმა უნდა მოამზადოს და რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებულ სახელმწიფო დაწესებულება - საავტომობილო გზების დეპარტამენტს (სგდ) უნდა წარუდგინოს შემდეგი ანგარიშები:

- **შუალედური ანგარიში:** ეს ანგარიში წარმოდგენილი უნდა იქნას მომსახურების გაწევის დაწყებიდან 3 თვეში და მასში შეჯამებული უნდა იყოს საწყისი დასკვნები, ასევე უნდა ასახავდეს წინადადებებს ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევის ჩატარების მეთოდოლოგიებზე. აღნიშნული ანგარიში უნდა მოიცავდეს ხარისხის უზრუნველყოფის გეგმას კონსულტანტის მოვალეობებისათვის, როგორც ეს ნახსენებია „ხარისხის მართვის გეგმით“ დასათაურებულ პუნქტში, რომელიც დეტალურად უნდა აღწერდეს ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევის ანგარიშგების პერიოდში შესრულებულ ყველა სამუშაოს. ის უნდა მოიცავდეს წინასწარ დასკვნებს, რომლებიც ეფუძნება არსებითად დასრულებულ ანალიზებს და ასევე უნდა განსაზღვრავდეს არსებულ და მოსალოდნელ სირთულეებს და მუშაობაში გამოვლენილ შეფერხებებს, მათ გამომწვევ მიზეზებსა და მათი გამოსწორების გზებს. ეს ანგარიში ასევე უნდა მოიცავდეს ანგარიშს, რომელიც განსაზღვრავს პროექტირების პრინციპებს/მეთოდებს და სტანდარტებს და უნდა მოხდეს მათი დახვეწა/სრულყოფა პროექტირების პროცესის მიმდინარეობისას შემდგომი ანალიზის საფუძველზე. მოძრაობის ნაკადების შესწავლის გეგმა და ანგარიში, რომელშიც მითითებული უნდა იყოს მოძრაობის ნაკადების შესწავლის ადგილმდებარეობა თითოეული ტიპის ანალიზისათვის (მოძრაობის ნაკადების შესწავლა უნდა იყოს შუალედური ანგარიშის ნაწილი).
- **ანგარიშის პროექტი:** ეს ანგარიში წარმოდგენილი უნდა იქნას მომსახურების გაწევის დაწყებიდან 5 თვეში და მასში შეჯამებული უნდა იყოს კვლევის შედეგები, ანალიზები და რეკომენდაციები, ასევე უნდა მოიცავდეს ყველა დამხმარება მასალებსა და მოკლე მიმოხილვას.

ანგარიშის პროექტი უნდა მოიცავდეს:

- სატრანსპორტო მოძრაობასა და ტრანსპორტირებაზე არსებული მონაცემების განხილვას,
- გზების მშენებლობისა და მოვლა-შენახვის მიმდინარე ხარჯების ანალიზს,
- ეკონომიკური ზრდის ძირითადი პარამეტრების განხილვას,

- სატრანსპორტო საშუალებების საექსპლოატაციო ხარჯებისა და ეკონომიის შეფასება,
  - ტექნიკურ-ეკონომიკური ანალიზს.
- **საბოლოო ანგარიში** - ეს ანგარიში წარმოდგენილი უნდა იქნას მომსახურების გაწევის დაწყებიდან 6 თვეში და მასში გათვალისწინებული უნდა ყველა ის ცვლილება და კომენტარი, რომელიც გაკეთდა სგდ-ს მიერ ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევის შეფასების მიმდინარეობისას მსჯელობებისა და შეთანხმებების დროს. აღნიშნული ანგარიში წარდგენილი უნდა იქნას დამკვეთთან დასამტკიცებლად. ის უნდა მოიცავდეს მიგნებებს, შედეგებს, ანალიზებს და ყველა დამხმარება მასალებს. ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევის საბოლოო ანგარიში უნდა დამტკიცდეს დამკვეთის მიერ.

**ყველა ანგარიშის წარმოდგენის გრაფიკი მოცემულია ქვევით ცხრილში:**

ამ ფაზის ბოლოს, კონსულტანტმა საავტომობილო გზების დეპარტამენტს (სგდ-ს) უნდა წარუდგინოს ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევის შედეგები და დამკვეთს უნდა მიეცეს დრო, პროექტის შემდგომი ეტაპის დასამტკიცებლად.

წარმოსადგენი მასალები	ასლების რაოდენობა	ენა	წარმოდგენის ბოლო ვადა	გადახდის პროცენტულობა
შუალედური ანგარიში	2	ინგლისური	მომსახურების გაწევის დაწყებიდან 3 თვეში	30%
	5	ქართული		
	2	ელექტრონული ინგ+ქართ (CD) შესაბამისი Autocad და SHP ფაილების ჩათვლით		
ანგარიშის პროექტი	2	ინგლისური	მომსახურების გაწევის დაწყებიდან 5 თვეში	40%
	5	ქართული		
	2	ელექტრონული ინგ+ქართ (CD) შესაბამისი Autocad და SHP ფაილების ჩათვლით		
საბოლოო ანგარიში	10	ინგლისური	მომსახურების გაწევის დაწყებიდან 6 თვეში	30%
	10	ქართული		
	2	ელექტრონული ინგ+ქართ (CD) შესაბამისი Autocad და SHP ფაილების ჩათვლით		

აქტივობა 2 - დეტალური საპროექტო დოკუმენტაციის მომზადება საერთაშორისო მნიშვნელობის თბილისი-სენაკი-ლესელიძე (რუსეთის ფედერაციის საზღვარი) საავტომობილო გზის კმ17-კმ28 მონაკვეთის (თბილისი-ნატახტარი) მოდერნიზაცია-მშენებლობისთვის. .

## ზოგადი

კონსულტანტმა უნდა მოამზადოს დეტალური საინჟინრო პროექტი საერთაშორისო მნიშვნელობის თბილისი-სენაკი-ლესელიძე (რუსეთის ფედერაციის საზღვარი) საავტომობილო გზის კმ17-კმ28 მონაკვეთის (თბილისი-ნატახტარი) მოდერნიზაცია-მშენებლობისთვის (გზის მიახლოებითი სიგრძე 13 კმ-ია).

კონსულტანტმა უნდა მოამზადოს დასამოწმებლად, ტენდერის პროცესისა და სამშენებლო სამუშაოებისთვის აუცილებელი ყველა შესაბამისი დოკუმენტი. ეს დოკუმენტები მოიცავს, თუმცა არ შემოიფარგლება მხოლოდ შემდეგით: დეტალური ნახაზები, სპეციფიკაციები, მოცულობათა უწყისი, ხარჯთაღიწვევები და საგზაო მოძრაობის მართვის გეგმები.

პროექტი ყოველმხრივ შესაფერისი უნდა იყოს კონტრაქტებთან (ტენდერის გამოცხადების მიზნით), რომლის დროსაც გამოყენებული იქნება 2010 წლის FIDIC-ის MDB 2010 წლის ჰარმონიზებული გამოცემა, რაც საშუალებას მისცემს შერჩეულ კონტრაქტორს შეასრულოს სამშენებლო სამუშაოები დამპროექტებლის შემდგომი მონაწილეობის გარეშე. საპროექტო სამუშაოების გადაცემა არ შეიძლება სამშენებლო სამუშაოების განმახორციელებელი კონტრაქტორებისათვის.

კონსულტანტმა პროექტირება უნდა განახორციელოს საერთაშორისო და ქართული საპროექტო სტანდარტებისა და ნორმების შესაბამისად. დეტალური პროექტის დაწყების წინ კონსულტანტმა უნდა დაადგინოს პროექტის კრიტერიუმების, ასევე გამოსაყენებელი და დამკვეთთან შესათანხმებელი სტანდარტების ჩამონათვალი.

პროექტის ყველა ასპექტი აღწერილი უნდა იყოს საპროექტო ანგარიშებში. ანგარიშები უნდა მოიცავდეს პროექტის კრიტერიუმებს, დაშვებებს, მეთოდებს, მოდელებს, წესებსა და სტანდარტებს, რომლებიც გამოყენებულ იქნა თითოეული ელემენტის პროექტირებისათვის. გაანგარიშების შეჯამებები მოცემული უნდა იყოს დანართებში ყველა შეგროვებულ მონაცემთან ერთად.

კონსულტანტმა სრული პასუხისმგებლობა უნდა აიღოს მონაცემების, პროექტების და დოკუმენტების სიზუსტესა და სისრულეზე და, მოთხოვნის შესაბამისად, ტენდერის დროს უნდა წარმოადგინოს განმარტებები.

## მონაცემებთა შეგროვება

კონსულტანტმა უნდა განახორციელოს ყველა ტოპოგრაფიული, გეოლოგიური, გეოტექნიკური, ჰიდროლოგიური და სხვა კვლევა, რომელთა ჩატარებაც საჭირო იქნება მაგისტრალის მოცემული მონაკვეთის დეტალური პროექტირების განხორციელებისათვის.

კონსულტანტმა უნდა მოამზადოს გეგმა მონაცემების შესაგროვებლად, მათ შორის ყველა გეოლოგიური, გეოტექნიკური გამოკვლევისა და ტესტის. განრიგში დეტალურად უნდა აისახოს ლოკაციების რაოდენობა და ყველა გამოკვლევის კალენდარული გრაფიკი. ეს გეგმა შეტანილი იქნება შუალედური პროექტის ანგარიშში. კონსულტანტი ვალდებულია შეცვალოს გეგმა თუ დამკვეთი კვლევების მოცულობას არაადეკვატურად მიიჩნევს.

მონაცემთა შეგროვებისას განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს სხვა იმგვარი პოტენციური რისკების აღმოჩენას, როგორცაა მეწყრული პროცესები და მათი გავლენა პროექტირების განრიგსა და ხარისხზე.

ნებისმიერი ტესტისა თუ კვლევის ჩატარებისას კონსულტანტი ვალდებულია **მინიმუმ 7 დღით** ადრე გაუგზავნოს დამკვეთს წერილობითი შეტყობინება. კერძოდ, ჭაბურღილების ბურღვის ნებისმიერ გეგმაში ასახული უნდა იყოს ჭაბურღილების რაოდენობა, ტიპი, ადგილმდებარეობა და დაგეგმილი განრიგი თითოეულ ლოკაციაზე.

ყველა შეგროვებული მონაცემი, ტოპოგრაფიული მოდელებისა და მატერიალური ტესტების შედეგების ჩათვლით, თან უნდა ერთვოდეს პროექტის ანგარიშებს დანართების სახით.

საველე კვლევების შესწავლა და ტესტები უნდა მოიცავდეს, თუმცა არ უნდა შემოიფარგლებოდეს ქვემოთ აღწერილით. აღნიშნული მოთხოვნები წარმოადგენს კონსულტანტის მიერ განსახორციელებელ მონაცემთა შეგროვების მინიმალურ დონეს, თუმცა არ უნდა იქნას გაგებული როგორც კონსულტანტის ვალდებულებების შეზღუდვა.

### ტოპოგრაფია

კონსულტანტმა უნდა განახორციელოს ამ დავალების შესასრულებლად საჭირო შესაბამისი ტოპოგრაფიული კვლევა. კვლევა უნდა იყოს იმდენად დეტალური, რომ იძლეოდეს სრული და საბოლოო პროექტირებისა და კონტრაქტორების მიერ სამუშაოების დაწყების საშუალებას. ეს მოიცავს მუდმივი ნიშნულების ქსელის შედგენას. პროექტის მოსამზადებლად საჭირო, ადგილმდებარეობის ტოპოგრაფიული კვლევა უნდა შემუშავდეს აბსოლუტურ UTM კოორდინატთა სისტემაში და უნდა უკავშირდებოდეს საქართველოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს GEO-CORS ბაზებს.

ტოპოგრაფიულ კვლევაში გასათვალისწინებელია ახალი მაღალი ხარისხის საჰაერო ორთოფოტოების გადაღება.

კონსულტანტი უნდა დარწმუნდეს, რომ ტოპოგრაფიასთან დაკავშირებით ხელმისაწვდომია საკმარისი მონაცემები და მიწის მთლიანი ზედაპირზე

განხორციელებულია ტრიანგულაცია და აგეგმილია. შერჩეული ინტერვალის დახმარებით მოხდება კონსულტანტის მიერ რაოდენობების გაანგარიშება სასურველ სიზუსტემდე და მათი დასაბუთება. უნდა მოხდეს გზის ცენტრალური ზოლის ორივე მხარეს შესაბამისი დისტანციით სრული განივი კვეთებისა და არსებული გზის ცენტრალური ზოლის გასწვრივი გზის შემადგენლების შესაბამისი ინტერვალებით განლაგება. შერჩეული ინტერვალები უნდა დასაბუთდეს კონსულტანტის მიერ. კვლევების მონაცემების მიხედვით უნდა მომზადდეს სამგანზომილებიანი ციფრული რელიეფის მოდელი.

პროექტის ანგარიშის ფარგლებში კონსულტანტმა უნდა წარმოადგინოს ტოპოგრაფიული კვლევის ანგარიში, რომელიც უნდა მოიცავდეს საველე ჩანაწერებს, ნიშნულების ლოკაციებს, აღმნიშვნელ კოორდინატებს და ა.შ. კვლევებთან დაკავშირებული ყველა ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იყოს ციფრული ფორმით, დამკვეთთან შეთანხმებული კომპიუტერული პროგრამის გამოყენებით.

### გეოტექნიკური გამოკვლევები

კონსულტანტმა მიმართულების გასწვრივ უნდა აწარმოოს ყოვლისმომცველი გეოტექნიკური და მასალებთან დაკავშირებული გამოკვლევები, როგორც ეს მოითხოვება ჯეროვანი და ხარჯთეფექტური პროექტირებისთვის. აღნიშნული გამოკვლევების მოცულობა და დეტალები, ასევე ტესტირება, აღწერილი უნდა იყოს მონაცემთა შეგროვების მეთოდოლოგიის გეგმაში, რომლის წარდგენაც სავალდებულოა შუალედურ ანგარიშთან ერთად და შეთანხმებული იქნება დამკვეთთან.

ეს მოიცავს ყრილის ქვემოთ არსებული პირველადი გრუნტის და გრუნტის წყლის თვისებების გამოკვლევასა და შეფასებას. ზოგადი მატერიალური თვისებები უნდა განისაზღვროს (მაგ., CBR, ატერბერგის ზღვრები, პიკი და ინერციის ძალა და კუმშვადობა, ტენიანობა-სიმკვრივის ურთიერთქმედება, ბუნებრივი ტენიანობის შემცველობა და ადგილობრივი სიმჭიდროვე, კლასიფიკაცია, RMR და ა.შ.) შესაბამისი ლაბორატორიული და ადგილზე ჩატარებული ტესტების საშუალებით AASHTO/BS სტანდარტების მიხედვით.

აღნიშნული გამოკვლევები უნდა მოიცავდეს სასურველი მიმართულების გასწვრივ არსებულ გრუნტში საკმარისი ინტერვალებით გათხრილ ჭაბურღილებს და საცდელ ორმოებს, როგორც ეს გეოლოგიური გამოკვლევების საფუძველზე იქნება მოთხოვნილი და საჭირო, სტანდარტებისა და ნორმების შესაბამისად. ყოველი გამოკვლევა უნდა განხორციელდეს შესაბამისი მიწის სამუშაოებისა და ნაგებობების პროექტირებისთვის საჭირო საკმარის სიღრმეზე.

კონსულტანტმა უნდა განახორციელოს დამატებითი ნიადაგქვეშა გამოკვლევები ხიდებთან და წყალგამტარ მილებთან, რაც მოიცავს ჭაბურღილებსა და საცდელ ორმოებს, რათა საფუძვლის პროექტირებისთვის უზრუნველყოფილი იყოს ყველა საჭირო და

აუცილებელი გეოტექნიკური მონაცემი ხიდების პროექტირების ნორმებისა და სტანდარტების შესაბამისად.

კონსულტანტმა უნდა მოამზადოს საკმარისი ჭაბურღილები და საცდელი ორმოები (გეგმა აღწერილი უნდა იყოს მონაცემთა შეგროვების მეთოდოლოგიის ანგარიშში) ნაგებობების პროექტირებასთან დაკავშირებით ზუსტი ინფორმაციის უზრუნველსაყოფად.

კონსულტანტს შეუძლია გრუნტის კვლევის პროგრამა შემდეგ ორ ფაზად განახორციელოს:

- პირველი ფაზა მიწის სამუშოებისა (ფერდობების კვეთა, ყრილები) და ნაგებობების (ხიდები) ლოკაციებზე გრუნტის პროფილის გამოსაკვლევადა, და
- მეორე ფაზა ხიდის ბურჯებისა და ხელოვნური ნაგებობების საბოლოო ლოკაციების გამოსაკვლევადა დამკვეთთან გამართული კონსულტაციის შემდეგ.

გამოკვლევები, ჩაწერა და ტესტირება უნდა განხორციელდეს სათანადო საერთაშორისო პრაქტიკის მიხედვით, შესაბამისი წესებისა და სტანდარტების გამოყენებით, მათ შორის, BS1377, BS 5930+A2 (2010) და EC 7. დამტკიცებამდე სტანდარტები უნდა დამოწმდეს დამკვეთის მხრიდან. არანაირ აღწერასა თუ ლაბორატორიულ ანალიზში არ უნდა მოხდეს GOST და SNIP სტანდარტების გამოყენება.

ასევე, კონსულტანტმა უნდა შეაფასოს გზის გასწვრივ გეო-მორფოლოგიური და ჰიდრო-გეოლოგიური მახასიათებლები, გამოავლინოს პოტენციური კრიტიკული ზონები მიწის ეროზიის, ფერდობის ჩავარდნის, მეწყერების, სხვა გეოლოგიური საფრთხეებისა და სეისმური რისკების კუთხით და განსაზღვროს შესაბამისი ფერდობის სტაბილიზაციისა და ეროზიის საწინააღმდეგო ზომების პირობები და ხარჯები.

კონსულტანტმა უნდა მოამზადოს ფაქტობრივი და განმარტებითი ანგარიში გეოტექნიკური შესწავლისა და ტესტირების შესახებ. გარდა იმისა, რომ ეს ანგარიშები უნდა დაერთოს შუალედური პროექტის ანგარიშს, ისინი ცალცალკე უნდა წარედგინოს დამკვეთს.

#### ქვის სამტეხლოები და კარიერები

კონსულტანტმა უნდა შეისწავლოს არსებული ქვის სამტეხლოები და კარიერები და მოიძიოს შესაბამისი მასალები ყრილების მშენებლობისთვის, შეუსაბამო ქვედა გრუნტის ფენის, ქვე-საგები ფენის, საფუძვლის, ბეტონისა და ასფალტის ჩასანაცვლებლად. ასევე, კონსულტანტმა საფუძვლიანად უნდა გამოიკვლიოს გზების მიმდებარედ არსებული გამოუყენებელი მასალების წყაროების პოტენციალი. მასალების კვლევის მიზანია მაქსიმალურად შემცირდეს ქვის სამტეხლოებიდან და კარიერებიდან სამშენებლო მოედანზე მასალების გადაზიდვის მანძილი.

კონსულტანტი შეაფასებს მშენებლობის სხვადასხვა ეტაპისთვის აუცილებელ სათანადო მასალების ადგილობრივად წარმოების შესაძლებლობას და აღნიშნულ შეფასებაზე დაყრდნობით გასცემს რეკომენდაციებს არსებული ქვის სამტეხლოების და/ან ახალი ქვის



სამტეხლოების გახსნის შესახებ. კონსულტანტმა უნდა წარადგინოს ქვის სამტეხლოებისა და კარიერების ადგილმდებარეობების გეგმა.

### ჰიდროლოგია

კონსულტანტმა უნდა შეისწავლოს გზის გასწვრივ გაწმენდის, ეროზიის, დრენაჟის და წყალდიდობის მახასიათებლები და უზრუნველყოს კვლევაში პროექტირებასთან, გარემოს დაცვით და ჰიდროლოგიურ საკითხებთან დაკავშირებული ყველა ასპექტის გათვალისწინება.

### **დეტალური პროექტი**

დეტალური პროექტი უნდა მოიცავდეს, თუმცა არ უნდა შემოიფარგლებოდეს შემდეგით:

#### გეომეტრიული პროექტი

წარმოსადგენი დოკუმენტაცია უნდა მოიცავდეს ჰორიზონტალურ გეგმას (მასშტაბი - 1:1000) და გრძივი პროფილის ნახაზებს (მასშტაბები - 1:1000h/1:100v), რომლებზეც ნაჩვენებია იქნება არსებული გზები, ტრასები, მდინარეები, არსებული ზოლის გრუნტის დონეები/ვერტიკალური მიმართულებები, ფორმირებისა და პროექტირების დონეები, დაქანება, რადიუსი და ა.შ., ასევე, 1:500/1:50 მასშტაბი სატრანსპორტო კვანძებისთვის. მონაკვეთების გეომეტრიული ელემენტები დაფუძნებული იქნება კომპიუტერიზებულ ტექნიკაზე. ჰორიზონტალური და ვერტიკალური მიმართულებისთვის გეომეტრიული პროექტის ელემენტებში გათვალისწინებული უნდა იყოს არსებული გზა. განისაზღვრება საბაზისო საპროექტო წესები, მათ შორის, ჰორიზონტალურ და ვერტიკალურ მიმართულებას შორის ოპტიმალური შესაბამისობა, სადრენაჟო ნაგებობების გაწმენდა და ა.შ., ისევე როგორც, ჰიდროლოგიური კვლევის დასკვნები, გეოტექნიკური და გარემოს დაცვითი შეზღუდვები და სტრუქტურული ასპექტები. პროექტირება უზრუნველყოფს საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების მახასიათებლების გათვალისწინებას გეომეტრიულ პარამეტრებში, საგზაო მონიშვნების, საგზაო შემოფარგვლებში და ა.შ. განივი კვეთები დაიხაზება ყოველ 20 მეტრიან ინტერვალში (მასშტაბი - 1:100). ნახაზებზე ნაჩვენებია იქნება ჭრილები და ყრილები, გვერდითი დრენაჟები, გზის საფარი, ჩაღრმავებები, გზის დახრილობა, ეროზიისგან დაცვა და ა.შ. კვანძების, ადგილობრივ საგზაო ქსელთან დროებითი მიერთებების პროექტირება ასევე დეპარტამენტთან კონსულტაციის საფუძველზე მოხდება. განსაკუთრებული ყურადღება იქნება საჭირო მეწყერულ ზონებში ხარჯთეფექტური ზომების მეშვეობით გეომეტრიული პროექტის ოპტიმიზაციისთვის.

აუცილებელია განივი პროფილების გადაღება სწორი რელიეფის პირობებში განხორციელდეს ყოველ 20 მეტრში და დამახასიათებელ წერტილებში, ხოლო მრუდებსა და მთაგორიან რელიეფზე ყველა დამახასიათებელ წერტილებში, გრძივი პროფილის ცვლილებების ადგილებში, ტანგენსებსა და გარდამავალი მრუდის დაწყების წერტილებში და ჰორიზონტალური მოხვევის კუთხის ბისექტრისებზე.

## გზის საფარის პროექტი

გზის საფარის პროექტირებისას კონსულტანტმა უნდა განსაზღვროს ორი ალტერნატივა: i) ასფალტის საფარი და ii) ბეტონის საფარი. საავტომობილო გზების დეპარტამენტის მოთხოვნებისა და შესაბამისი სასიცოცხლო ციკლის ანალიზის გარდა, მხედველობაში უნდა იქნას მიღებული 20 წლიანი შესრულების პერიოდი ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით (მაგ., წყალდიდობები, ძლიერი წვიმა, ზამთრის პირობები და ა.შ.). არასაკმარისი ინსტრუქციების შემთხვევაში კონსულტანტმა უნდა იხელმძღვანელოს ამერიკის სახელმწიფო გზებისა და სატრანსპორტო ასოციაციის (AASHTO) ბოლო ინსტრუქციების ან მსგავს გარემო პირობებში გზის საფარის ნაგებობების პროექტირებისთვის არსებული სხვა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

## დრენაჟი და წყალგამტარი მილები

კონსულტანტმა უნდა უზრუნველყოს გზის საფარისთვის შესაბამისი ზედაპირული და მიწისქვეშა დრენაჟის მოწყობა ადგილობრივი ნალექებისა და გრუნტის წყლების დონეების გათვალისწინებით. დრენაჟი მოიცავს განივ და გრძივ სადრენაჟო ნაგებობებს გზის საფარიდან სანიაღვრე წყლების უსაფრთხო და სწრაფი განდევნის უზრუნველსაყოფად. აშენებულ ზონებში განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს ზედაპირული და მიწისქვეშა წყლების დრენაჟისთვის შესაბამისად პროექტირებულ დახურულ/ღია არხებს. დრენაჟის პროექტირება უნდა მოიცავდეს დეტალურ გეგმას, რომელიც უნდა ასახავდეს ყველა მონაკვეთისთვის მილების, არხების, გამოსასვლელების, სპეციალიზებული სადრენაჟე ფენების (ამგვარის არსებობის შემთხვევაში) და სხვა მახასიათებლების ვერტიკალურ და ჰორიზონტალურ ადგილმდებარეობას. განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს გზაჯვარედინებსა და აშენებულ ზონებს. საჭიროების შემთხვევაში უნდა მოხდეს დრენაჟის პროექტისთვის AASHTO-სა და სხვა გამოცდილისაერთაშორისო სტანდარტების მხედველობაში მიღება.

## ხიდებისა და ნაგებობების დეტალური პროექტი

ხიდების, წყალგამტარი მილებისა და ნაგებობების პროექტირებისას კონსულტანტმა რეკომენდაცია უნდა გაუწიოს მისაღები დატვირთვის და პროექტირების სტანდარტებს ქართულ და საყოველთაოდ აღიარებული საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისად. კონსულტანტმა უნდა მოამზადოს ყველა ხიდის, წყალგამტარი მილისა და ნაგებობის დეტალური პროექტი და დეტალური ნახაზი. კონსულტანტმა უნდა უზრუნველყოს ზედნაშენი ხიდების ტიპების შედარება სხვადასხვა ფაქტორების მიხედვით, მათ შორის, ეკონომიურობა, ადგილობრივი სამშენებლო მასალების ხელმისაწვდომობა და სამშენებლო მეთოდები. ხიდებისთვის დეტალური პროექტი წარდგენილი იქნება შესაბამის საინჟინრო გაანგარიშებებთან ერთად, ბურჯის ტანებისა და ფუნდამენტების, ასევე მთლიანი ხიდის ჩათვლით.

## საგზაო აღჭურვილობა

საგზაო ნიშნები, გზის მონიშვნები, წყალგამტარი მილები, ქვეითთა და ცხოველთა გადასასვლელები, საგზაო აღჭურვილობა და უსაფრთხოების მექანიზმები სრულად უნდა იყოს დაპროექტებული და ნაჩვენები ნახაზებზე.

## გზის განათება

კონსულტანტმა უნდა მოამზადოს დეტალური საინჟინრო პროექტი, გზის სრული მონაკვეთის განათებისთვის. (მათ შორის არსებული გზისათვის სადაც აღნიშნული პროექტის განხორციელება ზემოქმედებას გამოიწვევს არსებულ მიმართულებაზე) გზების განათების ყველა სქემა სრულად უნდა მიესადაგებოდეს საქართველოს შესაბამის საკანონმდებლო მოთხოვნებს, რომელიც ეფუძნება საზოგადოდ მიღებულ საერთაშორისო პრაქტიკას. გზების განათების ყველა სქემა უნდა დაპროექტდეს სპეციალურად დამზადებული სანათების გამოსაყენებლად, რომლებიც უზრუნველყოფენ სინათლის გადანაწილებას, ფოტომეტრიული კონტროლით, რომელიც უზრუნველყოფს გზის მონაკვეთის განათებას სტანდარტული მოთხოვნის შესაბამისად და ამცირებს დისკომფორტს გზით მოსარგებლებებისთვის. გზის განათების ყველა საპროექტო ნახაზი უნდა მოიცავდეს შემდეგ ინფორმაციას და არ იყოს შეზღუდული:

- ა) ყველა სანათი სვეტის ლოკაციასა და პიკეტაჟის, სიმაღლის, გავრცელების არეალის სიგრძის, ნათურის სიმძლავრის, გამომრთველების ნომრისა და ფაზის დეტალებს.
  - ბ) ყველა საკაბელო ტრასას, წრედის ნომრებით, რომელიც მოცემულია საკაბელო ტრასის სხვადასხვა მონაკვეთებში.
  - გ) ყველა საკაბელო ჭის ლოკაციას.
  - დ) განათების მიწოდებისა და მართვის უჯრის ლოკაციას.
  - ე) წრედის ნომრების მაჩვენებელ ცხრილს, თითოეულ წრედზე განათების ზოგადი ლოკაცია, კაბელებისა და გამომრთველების ზომები და რაოდენობა, მომხმარებელთა ელექტრო კაბელებისა და ავტომატურ გამომრთველთა ზომები.
  - ვ) ნახაზში გამოყენებულ სიმბოლოთა განმარტებით სქემას.
  - ზ) შენიშვნებს, რომლებიც დეტალურად აღწერენ:
    - ა. გამოსაყენებელი აირგანმმუხტავი ნათურის სახეობას.
    - ბ. სანათის ფოტომეტრიულ სახეობას, რომელზეც აგებულია პროექტი
    - გ. კაბელის ტიპს.
    - დ. კაბელების გასატარებელი მილების ზომას და სახეობას.
    - ე. სანათი სვეტების დაშორებას საგზაო მონაკვეთიდან.
  - თ) ნებისმიერი სხვა სახის ინფორმაციას, რომელიც საჭირო შეიძლება იყოს, უჩვეულო, ან არასტანდარტული ვითარებიდან გამომდინარე.
- ობიექტის პროექტირება მოიცავს საველე საკვლევადიებო სამუშაოებს, საველე მონაცემების კამერალურ დამუშავებას და პროექტირებას. ამისათვის მიმწოდებელი ვალდებულია საპროექტო დოკუმენტაციით გათვალისწინებულ იქნას;
- გზის საპროექტო მონაკვეთის აღწერილობა;
  - გზის განათების ქსელის შემადგენლობა;
  - ელექტროქეტნიკური ნაწილი;
  - სატრანსფორმაფორო ქვესადგურები
  - კომპლექტური სატრანსფორმატორო ქვესადგურის დამიწების კონტურის ანგარიში;
  - კაბელების გაყვანილობა;
  - კაბელის შერჩევა;
  - განათების ქსელი;
  - განათების საყრდენების და სანათების ძირითადი პარამეტრები;

- აღრიცხვის კვანძების განლაგება;
  - სატრანსფორმაციო ქვესადგურების განლაგება;
  - გარე განათების საყრდენების განთავსება;
  - სამუშაოებისათვის საჭირო საპროექტო მომსახურება განახორციელოს საქართველოში მოქმედი ტექნიკური რეგლამენტების, ასევე ხელშეკრულების პირობებით;
  - მშენებლობის ორგანიზაციის პროექტი უნდა მოიცავდეს სამუშაოთა წარმოების გეგმაგრაფიკს, რომლითაც განისაზღვრება მშენებლობის მიახლოებითი ვადები;
  - აუცილებლობის შემთხვევაში საკვლევაძიებო და საპროექტო სამუშაოების შესრულებისათვის მოახდინოს დაინტერესებულ ორგანიზაციებთან და პირებთან პროექტების საჭირო წინასწარი შეთანხმებები;
  - პროექტებში გათვალისწინებულ უნდა იქნას საავტომობილო გზების დარგში მიღწეული და დაგროვილი საერთაშორისო გამოცდილებები ახალი ტექნოლოგიებისა და მოწყობილობების გამოყენებით საქართველოს სპეციფიკური პირობებიდან გამომდინარე;
- საპროექტო დოკუმენტაციით განხილული უნდა იყოს ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობა, ელექტრული დატვირთვების და სადენის კვეთის ანგარიში, საყრდენების დამიწება და სხვა. შერჩეული უნდა იყოს ელექტროტექნიკური მოწყობილობები შესაბამისი სტანდარტებისა და ტექნიკური ნორმატივების მიხედვით;
- მიმდებარე ქსელი უნდა შემოწმდეს მოკლე შერთვისა და დატვირთვის დენებზე. საჭიროების შემთხვევაში უნდა გადაისინჯოს სარელეო დაცვის მოწყობის პრინციპები და მოხდეს დანაყენების ანგარიში;
  - შერჩეული უნდა იყოს ახალი კომპლექტური სატრანსფორმატორო ქვესადგური. გათვალისწინებული უნდა იყოს სატრანსფორმატორო ქვესადგურის საძირკველის, დამიწების კონტურის, საბალანსო ელექტროენერჯის აღრიცხვის კვანძის მოწყობა;
  - ხილული გათიშვისათვის გათვალისწინებული უნდა იყოს ამძრავებიანი გამთიშველის მონტაჟი, ასევე გათვალისწინებული უნდა იყოს გადამეტაბვისაგან დაცვა;
  - პროექტში ასახული უნდა იყოს ქსელის ანგარიში. ჩატარებული უნდა იყოს ძაბვის დანაკარგების ანგარიში, რის მიხედვითაც შეირჩევა თვითმზიდი იზოლირებულ-ლი სადენი;
  - საპროექტო ორგანიზაციის მიერ შემუშავებული კონსტრუქციული, საინჟინრო და სხვა ტიპის გადაწყვეტები ისე უნდა იყოს შედგენილი, რომ გათვალისწინებული და შესაბამისობაში იყოს, როგორც საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის ისე საერთაშორისო დონეზე ნაკისრი ვალდებულებების შესაბამისად (მაგალითად გასათვალისწინებელია მიგრირებადი ფრინველებიდან გამომდინარე გზის განათების მოწყობის სპეციფიკა). უზრუნველყოფილი იყოს ნახაზებსა და სპეციფიკაციებს შორის თავსებადობა, მასალათა ნუსხის შესაბამისობა სპეციფიკაციებთან და ნახაზებთან;

### **პროექტის საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების ნაწილი**

საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს საგზაო მოძრაობის უსაფრთხოებას. საგზაო უსაფრთხოების აუდიტი (RSA) არის საგზაო პროექტების სისტემატიური და ფორმალური (რეგლამენტირებული) უსაფრთხოების დაცვის შემოწმება. მისი მიზანია გარკვეოს უსაფრთხოების პოტენციური პრობლემები, ამასთან, თუ შესაძლებელია, უნდა გაუმჯობესდეს პროექტი, პრობლემების შემცირების ან მათი აღმოფხვრის მეშვეობით. ამ მიზნით, პროექტს ჩაუტარდება საგზაო უსაფრთხოების აუდიტი. საგზაო უსაფრთხოების აუდიტი განხორციელდება საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ.

კონსულტანტი წარმოადგენს საგზაო უსაფრთხოების აუდიტის ანგარიშში მოცემულ რეკომენდაციებზე პასუხებს/კომენტარებს, ასევე, საბოლოო შედეგებს ასახავს საპროექტო დოკუმენტაციაში.

### დროებითი სამუშაოები და ალტერნატიული მიმართულებები

კონსულტანტმა პროექტში უნდა ასახოს ნებისმიერი დროებითი სამუშაო და/ან ალტერნატიული მიმართულება, რომლებიც საჭიროა თითოეული გზის მშენებლობის პერიოდის განმავლობაში. ყველა დროებითი სამუშაო ან ალტერნატიული მიმართულება დაპროექტებული უნდა იყოს ამ პერიოდის განმავლობაში შეუფერხებელი საავტომობილო მოძრაობის უზრუნველსაყოფად.

### კომუნიკაციები (მომსახურება)

კონსულტანტი დააკვირდება და გამოავლენს ყველა შესაძლო მომსახურებას (როგორცაა გაზი, ნავთობი, წყალსადენები, მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზები, კაბელები (მათ შორის მიწისქვეშა) სარწყავი არხები და ა.შ. აღნიშნული კომუნალური მომსახურების მფლობელებთან თანამშრომლობით და კომუნალური მომსახურების ტექნიკური რეგლამენტისა და მოთხოვნების საფუძველზე, კონსულტანტი, შესაბამის კომუნიკაციების ორგანოებთან კონსულტაციით, მოამზადებს დეტალურ პროექტს მათი გადაადგილებისათვის (ნახაზები, ტექნიკური მახასიათებლები, მასალა, რაოდენობა, ხარჯთაღრიცხვა და ა.შ) მესაკუთრეებთან წინასწარი შეთანხმების საფუძველზე და მოიცავს შესაბამისი თანხები ამ სამუშაოებისთვის პროექტის ხარჯთაღრიცხვასა და სამუშაოების მოცულობას.

დამკვეთი საჭიროების შემთხვევაში გაუწევს დახმარებას მფლობელებთან (სახელმწიფო და კერძო პირებთან) დაკავშირებასა და მათთან თანამშრომლობაში.

მიმწოდებელი ასევე განიხილავს მიწის შესყიდვის ნებისმიერ ზომას, რომელიც შეიძლება საჭირო გახდეს კომუნიკაციების გადალაგების (ან მოხსნის) სამუშაოებისას, ასეთის არსებობის შემთხვევაში და მოიცავს მათ მიწის შესყიდვისა და განსახლების გეგმაში.

### დეტალური პროექტის ექსპერტიზა

საბოლოო ანგარიშთან ერთად კონსულტანტმა უნდა წარმოადგინოს დეტალური პროექტზე მესამე მხარის ექსპერტიზის დასკვნა, გაცემული იმ სუბიექტის მიერ, რომელსაც აღიარებს "აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო - აკრედიტაციის ცენტრი".

### მშენებლობის ნებართვა

მთავრობის 2019 წლის 31 მაისის N257 ბრძანების თანახმად, დამკვეთი, სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე, ვალდებულია მიიღოს სამშენებლო ნებართვა ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოდან. კონსულტანტი ვალდებულია დაეხმაროს დამკვეთს აღნიშნულ პროცესში და მიაწოდოს N257 ბრძანებით განსაზღვრული ყველა საჭირო ინფორმაცია.

## მიწის შესყიდვისა და განსახლების სამოქმედო გეგმა (LARP)

კონსულტანტმა სკრინინგის საშუალებით უნდა განსაზღვროს მიწის შესყიდვისა და იძულებით განსახლების სხვა სახის პოტენციური საჭიროება და მოამზადოს მიწის შესყიდვისა და განსახლების დეტალური გეგმა (LARP) აზიის განვითარების ბანკის (ADB) სოციალური უსაფრთხოების პოლიტიკის დოკუმენტის (2009) მოთხოვნების შესაბამისად. კონსულტანტი უზრუნველყოფს ზემოაღნიშნულ მომსახურებას ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების საფუძველზე, LARP უზრუნველყოფს აღნიშნული დოკუმენტების გაუმჯობესებას და შემდგომ შემუშავებას.

## მომსახურების განხორციელებასთან დაკავშირებული საქმიანობა უნდა მოიცავდეს შემდეგ ღონისძიებებს:

წინამდებარე ტექნიკურ დავალებაზე თანდართული საპროექტო გეგმის საფუძველზე, მიმწოდებელმა მიწის შესყიდვისა და განსახლების გეგმის იმპლემენტაციისათვის უნდა განსაზღვროს განთვისების/გასხვისების ზოლი და შეიმუშაოს განსახლების გეგმა (როგორც ქართულ, ასევე ინგლისურ ენაზე) აზიის განვითარების ბანკის (ADB) სოციალური პოლიტიკის დოკუმენტის (SPS 2009) მოთხოვნების შესაბამისად.

განსახლების გეგმის მომზადების პროცესში განთვისების/გასხვისების ზოლის განსაზღვრისას, გათვალისწინებული უნდა იყოს საავტომობილო გზის მშენებლობის საერთაშორისო სტანდარტი.

წინამდებარე დავალების შესრულება უნდა მოიცავდეს შემდეგ კომპონენტებს:

მიმწოდებელმა უნდა განახორციელოს დეტალური აზომვითი სამუშაოები მის მიერვე განსაზღვრული განთვისების/გასხვისების ზოლის ფარგლებში; პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული მიწის ნაკვეთების იდენტიფიცირება; მიწის ნაკვეთების სტატუსის გადამოწმება (რეგისტრირებული საჯარო რეესტრში; ფაქტობრივ მფლობელობაში არსებული; არარეგისტრირებული - რეგისტრაციას დაქვემდებარებული/აღიარებადი (ლეგალიზებადი) არარეგისტრირებული - არალეგალიზებული; სახელმწიფო საკუთრებაში არსებული და სხვა);

მოამზადოს როგორც პირველადი (მათ შორის სახელმწიფოს სახელზე სარეგისტრაციოდ), ასევე გაყოფის/გამიჯვნის საკადასტრო აზომვითი ნახაზები მიწის ნაწილობრივი შეძენის შემთხვევაში; წარუდგინოს საავტომობილო გზების დეპარტამენტს Shape ფაილები და შესაბამისი

საკადასტრო აზომვით ნახაზ(ებ)ი სახელმწიფოს სახელზე მიწის ნაკვეთების რეგისტრაციისათვის. ამასთან, საკადასტრო აზომვები უნდა განხორციელდეს და რეგისტრაციისათვის/გამიჯვნისათვის საჭირო ნახაზები უნდა მომზადდეს საქართველოს მთავრობის 2016 წლის 8 აგვისტოს N388 დადგენილებით განსაზღვრული მოთხოვნების გათვალისწინებით (აღნიშნული დადგენილების შეცვლის შემთხვევაში, აღნიშნული სამართალურთიეთობების მარეგულირებელი შესაბამისი ნორმატიული აქტის შესაბამისად);

პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული მიწის ნაკვეთისა და მასზე განთავსებული უძრავი ქონების (სახლი, ღობე, დამხმარე ნაგებობა (ნაგებობების მდგომარეობა - უძრავი, დროებითი, გადატანადი) მრავალწლიანი ნარგავი, ერთწლიანი კულტურა და სხვა აქტივი) აღწერა-ინვენტარიზაცია უნდა განხორციელდეს მესაკუთრეთა/მფლობელობების ან/და მათი წარმომადგენლების თანდასწრებითა და მონაწილეობით, ასევე, მიმწოდებლის წარმომადგენლ(ებ)ის მონაწილეობით, რომლებიც უნდა იყოს დადასტურებული ხელმოწერებით. ამასთან, აღწერა-ინვენტარიზაციის პროცესს სასურველია ესწრებოდეს მუნიციპალიტეტის წარმომადგენლ(ებ)ი (სასურველია აღწერა-ინვენტარიზაციის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლის ხელმოწერით დადასტურება).

მიმწოდებელმა უნდა მოამზადოს შიდა აზომვითი ნახაზი თითოეული შენობის/სტრუქტურისთვის. პროექტის გავლენის ქვეშ მოქცეული თითოეული მიწის ნაკვეთისთვის გათვალისწინებული უნდა იყოს სხვადასხვა რაკურსით გადაღებული შესაბამისი ფოტოსურათები (პროექტის გავლენის ქვეშ მოქცეული მიწის ნაკვეთი, შენობა/ნაგებობა, ღობე, მრავალწლიანი ნარგავები, ერთწლიანი კულტურა და სხვა აქტივი).

მიმწოდებელი ამუშავებს საველე კვლევისას ინვენტარიზაციის შედეგად მიღებულ მონაცემებს (ეს სამუშაოები უნდა მოიცავდეს ტოპო-რუკებს; თითოეული ხე-მცენარე/ნაგებობები უნდა იყოს იდენტიფიცირებული რუკაზე და მინიჭებული ჰქონდეს უნიკალური ნომერი).

ზემოქმედების ქვეშ მოქცეული მიწის ნაკვეთისა და აქტივების შეფასება მიმწოდებელმა შეფასება უნდა განხორციელოს შესაბამისი სახელმწიფო ლიცენზიის/სერთიფიკატის საფუძველზე, შეფასების უახლესი საერთაშორისო სტანდარტით (ბოლო განახლებული ვერსია) უშუალოდ ან ქვეკონტრაქტორის საშუალებით. უნდა შეიმუშაოს/გამოთვალოს ერთეულისა და სრული ფასი თითოეული მიწის კატეგორიისთვის, ასევე, მრავალწლიანი ნარგავებისა და შენობა/ნაგებობებისათვის. მიწა უნდა შეფასდეს საბაზრო ღირებულებით (მათ შორის დაურეგისტრირებელი). მიწის ნაკვეთების შეფასებისას საბაზრო ღირებულების გამოთვლა უნდა ეფუძნებოდეს გაყიდვების შედარების/ანალოგების მიდგომას. მიწის ნაკვეთის ღირებულება გამოითვლება ანალოგიური ზომის, ფორმის და მდებარეობის მიწის ნაკვეთის ღირებულების გათვალისწინებით (მათ შორის დაურეგისტრირებელი). შენობა-ნაგებობები უნდა შეფასდეს

დანახარჯების/ჩანაცვლებითი ღირებულებით. მრავალწლიანი ნარგავების ღირებულება გამოითვლება ანალოგიური ნარგავის შესაბამის წლოვანობამდე ან მათი სრული მსხმოიარობის შემთხვევაში სრულ მსხმოიარობამდე გაზრდისათვის საჭირო დროის პერიოდზე დაყრდნობით. ერთწლიანი ნათესების შეფასება გამოითვლება კონკრეტული ჯიშისათვის სასოფლო-სამეურნეო მოსავლიანობის მონაცემების (სათანადო წყაროზე დაყრდნობით) და მისი საბაზრო ღირებულების გამოყენებით, ერთი წლის მოსავალთან მიმართებაში. **მნიშვნელოვანია, რომ ბოტანიკოსი/აგრონომი (აუცილებელია წარმოდგენილი იყოს აღნიშნული მიმართულებით უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი) ჩართული იყოს მრავალწლიანი ნარგავების/ერთწლიანი კულტურის ერთეულის შეფასების პროცესში, აგრეთვე ხეხილის ტიპის, ასაკისა და მრავალწლიანი ნარგავების პროდუქტიული ღირებულების განსაზღვრის პროცესში.**

ბიზნესის სამუდამო ან დროებით დაკარგვის შემთხვევაში, სრულყოფილი საკომპენსაციო გაანგარიშება, წარმოდგენილი უნდა იყოს **აზიის განვითარების ბანკის (ADB)** სოციალური უსაფრთხოების პოლიტიკის დოკუმენტის (SPS 2009) მოთხოვნებისა და საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, სათანადო კვალიფიკაციის/სერთიფიცირების მქონე აუდიტორული კომპანიის ჩართულობით. ასევე, წარმოდგენილი უნდა იყოს სრულყოფილი და უტყუარი საკომპენსაციო გაანგარიშებები დასაქმებულთა შრომითი ურთიერთობის დროებით ან მუდმივად შეწყვეტის შემთხვევაში.

თითოეული პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური პირობების შესწავლა, ინფორმაციის შეგროვება მოწყვლადი ოჯახების შესახებ (სოციალურად დაუცველი ოჯახები/პირები, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, პენსიონრები, ქალით მართული ოჯახი და ა. შ) და შესაბამისი საკომპენსაციო ღონისძიებების განსაზღვრა **აზიის განვითარების ბანკის (ADB)** სოციალური უსაფრთხოების პოლიტიკის (SPS 2009) მოთხოვნათა დაცვით.

საჯარო კონსულტაციების ჩატარება პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ მოსახლეობასთან როგორც განსახლების გეგმის მომზადების საწყის, ისე დასკვნით ეტაპზე. შესაბამისი დეტალური ოქმების მომზადება. მუნიციპალიტეტის/სოფლის დონეზე საინფორმაციო ბუკლეტების მომზადება და გავრცელება. განსახლების გეგმას უნდა დაერთოს საჯარო კონსულტაციებისა და ხელმოწერილი ოქმების ამსახველი ფოტოები;

მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს განსახლების გეგმის მომზადება (თითოეული მიწის ნაკვეთის მიხედვით შემუშავებული შემაჯამებელი ცხრილი და დანართები). უნდა შედგეს დეტალური საკომპენსაციო ცხრილი, რომელიც წარმოდგენილი იქნება შემსყიდველთან. ასევე, უნდა უზრუნველყოს შემსყიდველისათვის განსახლების გეგმის სამუშაო ვერსიის წარდგენა. მიმწოდებელმა უნდა განახორციელოს განსახლების გეგმის შესწორება/გადამოწმება პროექტის



იმპლემენტაციის ნებისმიერ ეტაპზე საჭიროებისამებრ, მიწის შესყიდვის პროცესში გამოვლენილი ცვლილებების/არასწორი მონაცემების შესაბამისად. მათ შორის დააკორექტიროს აღწერა-ინვენტარიზაცია, აზომვითი ნახაზები, შეფასებები, გასცეს დაზუსტების/განმარტების წერილები და განახორციელოს ყველა სხვა ქმედება, რომელიც აუცილებელია განსახლების გეგმის დროული იმპლემენტაციისათვის.

უნდა განხორციელდეს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში არასწორი კონფიგურაციით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთების ცვლილების, კორექტირების, დაზუსტებისათვის სარეგისტრაციო ბლოკებისათვის საკადასტრო აზომვითი ნახაზებისა და სარეგისტრაციო ბლოკების მომზადება, ასევე, მიწის ნაკვეთებზე უფლებათა სისტემური და სპორადული რეგისტრაციის წესისა და საკადასტრო მონაცემების სრულყოფის შესახებ საქართველოს კანონისა და საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2019 წლის 31 დეკემბერის №487 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო რეესტრის შესახებ“ ინსტრუქციის მოთხოვნების შესაბამისად, განსაკუთრებული სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის პროექტის ფარგლებში მოქცეული, საჯარო რეესტრში მცდარი საკადასტრო მონაცემებით რეგისტრირებული უძრავი ნივთების ფაქტობრივი მდებარეობის დადგენის მიზნით, უძრავი ნივთის ადგილზე დათვალიერების ოქმის შედგენა და დეპარტამენტში წარმოდგენა; ზემოთ აღნიშნული სახით, ასევე პირველადი რეგისტრაციის მიზნით სარეგისტრაციო ბლოკების მომზადება.

შემსყიდველთან წარმოდგენილი უნდა იყოს სრული განთვისების/გასხვისების ზოლის დრონით გადაღებული ვიდეო გადაღება.

მიმწოდებლის მიერ შემსყიდველთან, ასევე წარმოდგენილი უნდა იყოს სრული განთვისების/გასხვისების ზოლის **ტოპო-რუკა** და ახალი საჰაერო ორთოფოტოები, რომელზეც დატანილი იქნება აზომილი მიწის ნაკვეთები (დანომრილი იქნება თანმიმდევრულად, განთვისების/გასხვისების ზოლის მიმართულების შესაბამისად) და განთვისების/გასხვისების ზოლი (ბუფერი);

განსახლების გეგმა, ასევე უნდა მოიცავდეს ინფორმაციას, რომელიც წარმოდგენილი იქნება შესაბამის თავებსა და დანართებში:

1. ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ;
2. მიწისა და სხვა აქტივების/ მოსავლის/ მცენარეების შეფასების მეთოდოლოგია;
3. ინსტიტუციური მოწყობა და სამართლებრივი ჩარჩო;
4. საჩივრის პროცედურები და განხილვის მექანიზმი;

5. განსახლების სამოქმედო გეგმის ხარჯები და დაფინანსების წყაროები;
8. ინფორმაცია მიწის/ქონების რეგისტრაციის შესახებ;
9. კომპენსაციის უფლება;
10. დეტალური შეფასების ანგარიშები უნდა მომზადდეს ცალკე მიწის ნაკვეთებისა და სხვა აქტივების/მოსავლის/მცენარეებისათვის შეფასების სერტიფიცირებული კომპანიის/პირის მიერ.

## სოციალურ-ეკონომიკური კვლევა

განსახლების სამოქმედო გეგმის მოსამზადებლად საჭიროა სოციალურ-ეკონომიკური შესწავლა პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული შინამეურნეობების ჩართულობით.

სოციალურ-ეკონომიკური კვლევა (SES) ტარდება სოციალურ-ეკონომიკური დასაბუთების ეტაპზე და მოიცავს მოსახლეობის 3-5%-ს იმ რეგიონში (რეგიონებში), რომელსაც პროექტი ეხება.

SES მოიცავს:

- დაზარალებული შინამეურნეობების სტანდარტულ მახასიათებლებს, მათ შორის წარმოების სისტემების, შრომისა და შინამეურნეობების ორგანიზაციის აღწერა;
- საბაზისო ინფორმაცია გადაადგილებული მოსახლეობის საარსებო წყაროს შესახებ (მათ შორის, როგორც შესაბამისი, წარმოების დონეები და შემოსავალი, როგორც ფორმალური, ისე არაფორმალური ეკონომიკური საქმიანობიდან) და ცხოვრების დონე (ჯანმრთელობის მდგომარეობის ჩათვლით);
- აქტივების სავარაუდო დანაკარგის, სრული ან ნაწილობრივი და გადაადგილების მოცულობა, ფიზიკური თუ ეკონომიკური;
- ინფორმაცია მოწყვლადი ჯგუფების ან პირების შესახებ, რომელთა მიმართ შეიძლება საჭირო გახდეს სპეციალური დებულებების გატარება და საზოგადოების მონაწილეობა.

**შემსყიდველს მიმწოდებლისგან კონკრეტული მომსახურების დასრულების შემდეგ უნდა ჩაბარდეს შესაბამისი დოკუმენტაცია:**

1. მიწის შესყიდვისა და განსახლების გეგმა როგორც ქართულ, ასევე ინგლისურ ენაზე (1 ბეჭდური და 1 ელ-ვერსია);
2. უძრავი ქონების შეფასების დეტალური ანგარიში როგორც ქართულ, ასევე ინგლისურ

**ენაზე** (1 ბეჭდური და 1 ელ-ვერსია);

3. კვლევის შედეგად დადგენილი მესაკუთრეების სია (1 ბეჭდური და 1 ელ-ვერსია), მათ შორის შემაჯამებელი საკომპენსაციო ცხრილის წარმოდგენა (რომელიც უნდა მოიცავდეს თითოეულ მიწის ნაკვეთზე საკომპენსაციო გაანგარიშებას);

4. მიწის ნაკვეთების საველე კვლევისა და აღწერის შედეგები (აღწერა-ინვენტარიზაციის აქტი, თითოეული ნაკვეთზე სხვადასხვა რაკურსით გადაღებული ფოტოსურათები, მათ შორის ინდივიდუალური აღწერის/შეფასების აქტი);

5. მიწის ნაკვეთების როგორც პირველადი (მათ შორის სახელმწიფოს სახელზე რეგისტრაციისთვის), ასევე გამიჯვნის რეგისტრაციისათვის საჭირო საკადასტრო აზომვითი ნახაზები და შენობა-ნაგებობების შიდა საკადასტრო-აზომვითი ნახაზები ელ. ვერსიებთან ერთად

6. მომსახურება მიღებულად ჩაითვლება შემსყიდველსა და მიმოწდებელს შორის მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერით.

7. მიმწოდებელმა ორი წლის განმავლობაში უნდა უზრუნველყოს მის მიერ შემსყიდველისათვის მიწოდებული ინფორმაციის ელექტრონული ასლის შენახვა და საჭიროების შემთხვევაში მისთვის მიწოდება.

### **გარემოზე ზემოქმედების შეფასება**

კონსულტანტმა უნდა მოამზადოს სამი ცალკეული გზშ ანგარიში გზის თითოეული მონაკვეთისთვის;

განსაზღვროს გზის მშენებლობისა და ექსპლუატაციის პოტენციური გარემო, სოციალური ზემოქმედების ხასიათი და მასშტაბი და დაადასტუროს, რომ შემოთავაზებული სამუშაოები განისაზღვრება როგორც გარემოს დაცვის A კატეგორია. კონსულტანტის მუშაობის შედეგი იქნება გზშ ანგარიში, მათ შორის გარემოს დაცვის მართვის გეგმა (EMP). კონსულტანტმა უნდა გადახედოს ინფორმაციის შესაბამის წყაროებს საგზაო დერეფანში ნებისმიერი ცნობილი არქეოლოგიური ადგილის არსებობის დასადგენად.

კონსულტანტის დავალება გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის მომზადება შედგება შემდეგი ამოცანებისგან:

გზშ კვლევის ძირითადი მიზნებია:

- განსაზღვრული გზის მონაკვეთის დერეფანში გარემოსდაცვითი, სოციალური და კულტურული მემკვიდრეობის მგრძობიარე რეკვიპორების იდენტიფიცირება, ბუნებრივი და სოციალური გარემოს რისკების და ამ მონაკვეთში სავარაუდო სამშენებლო სამუშაოებთან დაკავშირებული რისკების აღნიშვნა და მათი ბუნებისა და მახასიათებლების აღწერა.
- პროექტის ზემოქმედების არეალის სოციალური ბაზის შექმნა, მათ შორის მნიშვნელოვანი იდენტიფიკაცია და მოწყვლადი და ცუდ პირობებში მყოფი ჯგუფების შეფასება, რომლებიც შეიძლება არაპროპორციულად დაზარალდნენ პროექტით.
- დამკვეთის მიერ დაქირავებულ საპროექტო გუნდთან თანამშრომლობა მაგისტრალის ზუსტი მარშრუტის განსაზღვრის პროცესში, ოპტიმალური მარშრუტის შერჩევაში გარემოსდაცვითი, სოციალური და კულტურული მემკვიდრეობის პერსპექტივების ინტეგრაციის მიზნით. ნებისმიერი ცვლილების შემოთავაზება, რამაც შეიძლება გაზარდოს პროექტის სოციალურ-ეკონომიკური და გარემოსდაცვითი შედეგი, მათ შორის ადგილობრივი მოსახლეობის საარსებო წყაროს დაკარგვის მინიმიზაცია,

შიდასახელმწიფოებრივ/ადგილობრივ გზებთან უკეთესი კავშირი, ესტაკადა/ მიწისქვეშა გადასასვლელების ადგილები, რომლებიც უკეთესად შეუწყობს ხელს ადგილობრივ მობილობას და სხვა; შემარბილებელი დეტალური ღონისძიებების ერთობლიობის უზრუნველყოფა, რომელიც მიზნად ისახავს თავიდან აიცილოს ან შემცირდეს მშენებლობის სავარაუდო ნეგატიური ზემოქმედება ბუნებრივ, სოციალურ და კულტურულ გარემოზე და შემუშავება გარემოსდაცვითი მენეჯმენტის გეგმისა შემარბილებელი და მონიტორინგის გეგმების ჩათვლით;

1. საავტომობილო გზების დეპარტამენტისა და ADB-სთვის დამაკმაყოფილებელი გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის, მათ შორის გარემოს დაცვის მართვის გეგმის შედგენა;
2. აღწერა ინსტიტუციური სისტემისა მაგისტრალის საგნობრივი მონაკვეთის მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროცესში EMP-ის ადმინისტრირებისა და აღსრულებისათვის, გამოვლენა ამ ნაკლოვანებების სისუსტეებისა და ხარვეზებისა და რეკომენდაციის გაწევა შესაბამისი ზომებისთვის გამოვლენილი სისუსტეების აღმოსაფხვრელად;
  - დამკვეთის დახმარება, მოთხოვნისამებრ, გზის ანგარიშის პროექტზე საჯარო კონსულტაციების დროს და გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსგან (MoENRP) გარემოსდაცვითი ნებართვის მიღების პროცესში.

ამ დავალების შედეგი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს შესაბამის ეროვნულ კანონმდებლობას და ADB-ს უსაფრთხოების პოლიტიკის დოკუმენტს (SPS 2009). კონსულტანტი პასუხისმგებელი იქნება კვლევების ჩატარებაზე და დოკუმენტების მომზადებაზე, რომლებიც აუცილებელია ავტორიზებული სამთავრობო უწყების - გარემოს დაცვის სამინისტროს, ასევე პროექტის დამფინანსებლის- ADB- სგან დასამტკიცებლად და უნდა შეიცვალოს დოკუმენტები ამ უწყებებისა და სხვათა კომენტარების შესაბამისად. გარემოსდაცვით ნებართვაზე განაცხადი მომზადდება, წარდგენილი იქნება და პროგრესირდება დამკვეთის მიერ კონსულტანტის დახმარებით.

## დავალების სფერო

გარემოსდაცვითი რეგიონული შეფასების თანახმად, რომელიც ითვალისწინებდა პოტენციურ ზემოქმედებას და შემსუბუქების ღონისძიებებს საპროექტო გზის განვითარების გეგმისათვის, იმ სფეროში, რომელსაც ფარავს კონსულტანტი, ძირითადი გარემოსდაცვითი და სოციალური საკითხები შეიძლება შეიცავდეს შემდეგს:

1. ინფორმაცია გარემოს დაცვის მიზნით შემოთავაზებული საქმიანობის ყველა გონივრული ალტერნატივისა და მისი განხორციელების ადგილის შესახებ, შესაბამისი საფუძვლებით, მათ შორის უმოქმედო (ნულოვანი) ალტერნატივა, რომელიც ითვალისწინებს არსებული გარემოს მდგომარეობის ბუნებრივი განვითარების აღწერას საქმიანობის შეუსრულებლობის შემთხვევაში და რომელიც შეიძლება შეფასდეს არსებული ინფორმაციისა და მეცნიერული ცოდნის გამოყენებით;
2. ინფორმაცია ნებისმიერი სავარაუდო მნიშვნელოვანი ზემოქმედების შესახებ გარემოზე, რომელიც წარმოიქმნება დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების შედეგად, მათ შორის მოსახლეობაზე ნებისმიერი გავლენის, ადამიანის ჯანმრთელობაზე, ბიომრავალფეროვნებაზე (მათ შორის მცენარეებისა და ცხოველების სახეობები,

ჰაბიტატები, ეკოსისტემები), წყალი (მათ შორის ჰიდრომორფოლოგიური ცვლილებები, რაოდენობა და ხარისხი), ჰაერი, მიწა (მიწების ჩათვლით), ნიადაგი (ორგანული ნივთიერებების ჩათვლით, ეროზია, შეკუმშვა, დეგრადაცია), კლიმატი (სათბურის გაზების ჩათვლით), ლანდშაფტი, კულტურული მემკვიდრეობა (არქიტექტურული და არქეოლოგიური ასპექტების ჩათვლით) და მატერიალური ქონება;

3. კუმულაციური ეფექტები სხვა არსებულ ან დაგეგმილ საქმიანობაზე;
4. გარემოზე შეუქცევადი ზემოქმედების შეფასება და ამგვარი ეფექტების გამომწვევი მიზეზი, რაც გულისხმობს გარემოზე შეუქცევადი ზემოქმედების შედეგად გამოწვეული ზარალის და გარემოსდაცვითი, კულტურული, ეკონომიკური და სოციალური თვალსაზრისით მიღებული მოგების შედარებას;
5. ავტომაგისტრალის ცალკეული მონაკვეთები შედის განთვისების ზოლში და მოითხოვს სახელმწიფო ტყის ფონდიდან ამორიცხვას;
6. ექსკავაციის სამუშაოების დროს არქეოლოგიური მასალის გამოვლენის მაღალი ალბათობა;
7. გამოწვევები, რომლებიც დაკავშირებულია სამშენებლო ნარჩენების და ჭარბი მასალის დროებითი შენახვისა და საბოლოო განკარგვის ადგილების გამოვლენასა და ფორმალურად შეთანხმებასთან, და პროცედურები, რომლებიც დაკავშირებულია ამ ტერიტორიების ეროვნულ ხელისუფლებასთან შეთანხმებით;
8. გამოწვევები, რომლებიც დაკავშირებულია არასწორად რეგულირებად კარიერებთან და კარიერების აღდგენასთან;
9. რისკები რომლებიც დაკავშირებულია მიწის დეგრადაციასა და ეროზირებასთან ქანობების ჩამოჭრით და კარიერებიდან სამშენებლო მასალების მოპოვებით;
10. მიწისქვეშა წყლები და დინება;
11. კლიმატის ცვლილების ამჟამინდელი და სავარაუდო გავლენის გზის განთვისების ზოლის გამოვლენა, განსაკუთრებით კი ექსტრემალური ამინდის მოვლენების გახშირება, როგორცაა წყალდიდობა, სეტყვა, ძლიერი ქარი და სხვა;
12. სამშენებლო კონტრაქტორის ბანაკის ადგილის განთავსება;
13. სამუშაოები კალაპოტებში;
14. აღწერა ხმაურისა და ჰაერის ემისიების მოდელირებისა დეტალური საპროექტო მოძრაობის პროგნოზების გამოყენებით;
15. ხმაურის, ვიბრაციისა და ჰაერის დაბინძურების ზემოქმედება დასახლებულ პუნქტებთან ახლოს მშენებლობისა და ექსპლუატაციის დროს;
16. ექსკავაციის სამუშაოების დროს არქეოლოგიური მასალის აღმოჩენის რისკები;
17. რისკები რომლებიც დაკავშირებულია სამშენებლო ნარჩენებისა და გამოუსადეგარი გრუნტის დროებითი დასაწყობების ადგილებსა და მათი საბოლოო განთავსებასთან;
18. რისკები რომლებიც დაკავშირებულია მიწის დეგრადაციასა და ეროზირებასთან ქანობების ჩამოჭრით და კარიერებიდან სამშენებლო მასალების მოპოვებით;
19. გამოუსადეგარი გრუნტის დროებით და სამუდამო დასაწყობებისთვის შესაბამისი ტერიტორიების მოძიება საქართველოს კანონმდებლობის და ADB-ის უსაფრთხოების პოლიტიკის დოკუმენტის შესაბამისად;
20. მეწყერის წარმოქმნის რისკები;
21. მიწისქვეშა წყლის ნაკადების რისკები;
22. მდინარეებსა და ნაკადულებთან ახლოს მშენებლობის შედეგად წყლის დაბინძურების რისკი;

გზშ შემდგარი იქნება ისეთი ღონისძიებებისაგან, რომლებიც საერთოა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი გზშ კვლევების უმეტესობისათვის. აღნიშნული განხორციელება შემდეგნაირად:

### **სამართლებრივი და ინსტიტუციონალური ჩარჩოს მიმოხილვა**

გზშ-ის მშენებლობის წინა პროექტებისათვის მომზადებული გზშ ანგარიშები შეიცავს ეროვნულ კანონმდებლობას და ADB-ის უსაფრთხოების პოლიტიკის დოკუმენტს (SPS 2009), რადგან ის ეხება გზშ-ის მშენებლობის პროექტების განხორციელებას და ექსპლუატაციას და სამუშაოების გარემოსდაცვითი ნებართვის ინსტიტუციონალურ ჩარჩოს.

### **საბაზისო მონაცემების შეგროვება**

კონსულტანტმა უნდა მოიძიოს ძირითადი საბაზისო მონაცემები, რომლებიც აღწერს შემოთავაზებული პროექტის შესაძლო გავლენის ქვეშ მოქცეულ ტერიტორიაზე არსებულ ბიოფიზიკურ გარემოს. მონაცემები უნდა იყოს მკაფიო, დეტალური და უახლესი, რათა შესაძლებელი იყოს ზეგავლენის ზუსტად განსაზღვრა და შემარბილებელი ღონისძიებების სათანადოდ დაგეგმვა. მონაცემები უნდა შეგროვდეს ფიზიკური, ბიოლოგიური და სოციალური (სოციალურ-ეკონომიკური და სოციალურ-კულტურული) გარემოს შესახებ და უნდა მოიცავდეს ინდივიდუალურ საკითხებს დეტალურად თითოეულ სფეროზე. დოკუმენტი უნდა მოიცავდეს შემდეგს და არა მხოლოდ:

### **ფიზიკური გარემო:**

ლანდშაფტი, ტოპოგრაფია; გეოლოგია და გეოლოგიური საფრთხეები; ნიადაგის ტიპები და დაბინძურება; კლიმატი; ჰაერის ხარისხი; ჰიდროლოგია: ზედაპირული წყლის ობიექტები, გრუნტის წყლები, წყლის დაბინძურება; ხმაური.

### **ბიოლოგიური გარემო:**

ფლორა და ფაუნა; იშვიათი და/ან გადაშენების პირას მყოფი სახეობები (წითელი ნუსხის სახეობები); გარდაქმნილი, ბუნებრივი და კრიტიკული ჰაბიტატები; ეკოსისტემები და ეკოსისტემური მომსახურება; დაცული ტერიტორიები, ფრინველებისა და ცხოველების მიგრაცია და სხვა მნიშვნელოვანი ასპექტები.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიენიჭოს სახელმწიფო ტყის ფონდში რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთების არსებობას. შერჩეული საპროექტო ტრასის განთავსების ზოლი სახელმწიფო ტყის ფონდის ტერიტორიას ემთხვევა, კონსულტანტმა უნდა:

- 1) მოამზადოს საკადასტრო აზომვითი ნახაზები (shp ფაილები);
- 2) ჩაატაროს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, მერქნული რესურსები წინასწარი აღრიცხვა იმ ტერიტორიაზე, რომელიც უნდა ამოირიცხოს სახელმწიფო ტყის ფონდიდან
- 3) წარადგინოს შესაბამისი ინფორმაცია, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, წითელ ნუსხაში შეტანილი სახეობების მოჭრის ნებართვის მიღების შესახებ (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
- 4) ხეების კომპენსაციის გეგმის მომზადება სიიდან ამოღების დოკუმენტაციის შესაბამისად

### **ადამიანის გარემომცველი გარემო:**

მოსახლეობა; თემები; დემოგრაფია; დასაქმება და სოციო-ეკონომიკა; მიწის გამოყენება; მიწის საკუთრება და მფლობელობა; ინფრასტრუქტურა; ტრანსპორტი; საზოგადოებრივი ჯანდაცვა; კულტურული მემკვიდრეობა; არქეოლოგია; უმცირესობათა თემები; არამომგებიან პირობებში მყოფები; სქესი; დასვენება; ტურიზმი.

#### **არსებული ინფრასტრუქტურა:**

ტრანსპორტი და კომუნიკაციები (სარკინიგზო და საავტომობილო გზები, ელექტროგადამცემი ხაზები; წყლის, საკანალიზაციო და გაზის მიწები; სარწყავი მიწები/არხები; ძირითადი მიწისქვეშა კაბელები; დიდი საცავები და ა.შ.)

#### **მიწათსარგებლობა და გამოყენება:**

ძირითადი მიწის ტიპები: სამოსახლო, სასოფლო-სამეურნეო, საკურორტო, ინდუსტრიული, დაცული ან სატყეო; ძირითადი მიწის ტიპები საკუთრება და მართვა: სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული, თემის (სადოვრები), კერძო, გამოყოფილი სპეციალური სარგებლობისთვის (ნაკვეთები მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურის გარშემო) და ა.შ. პროექტის მიზნებისათვის მიწის აღების და ფიზიკური გადაადგილების სავარაუდო საჭიროება.

#### **კულტურული მემკვიდრეობა:**

განსაზღვრა, ჩამოთვლა და აღწერა ყველა დადგენილი და (დაუდგენელი) კულტურული მემკვიდრეობის პროექტის ზონის გასწვრივ. ფიზიკური პირობებისა და პრაქტიკული ზომების განსაზღვრა, რომლებიც მიმართულია გამოვლენილი კულტურული მემკვიდრეობების დაცვისა და გაძლიერებისკენ.

კონსულტანტმა უნდა განახორციელოს შემდეგი საქმიანობები:

- გადახედოს საკანონმდებლო ბაზას, ყველა მარეგულირებელ ნორმას და სტანდარტს, რომელიც შეესაბამება საპროექტო ზონაში გამოვლენილ კულტურულ მემკვიდრეობას;
- წინასწარი კვლევები: საარქივო და ბიბლიოგრაფიული დოკუმენტების შესწავლა, რომლებიც არსებობდა ტერიტორიის შესახებ, შესწავლა არსებული ძეგლების ჩამონათვალისა, დისტანციური აღნუსხვა (თანამგზავრული და საჰაერო სურათების გამოყენებით);
- საველე კვლევის ჩატარება საპროექტო ზონის გასწვრივ, კულტურული მემკვიდრეობის ინვენტარიზაციისათვის;
- კონსულტაციები დაინტერესებულ მხარეებთან, მათ შორის ადგილობრივ მოსახლეობასთან და შესაბამის ორგანოებთან (როგორცაა, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო ან სხვა);
- საპროექტო ტერიტორიის გასწვრივ კულტურული მემკვიდრეობის მგრძობელობისა და ღირებულების მიმოხილვა;
- კულტურულ მემკვიდრეობაზე პოტენციური ზემოქმედების შეფასება და რეკომენდაციების და შემარბილებელი ღონისძიებების მომზადება კულტურული მემკვიდრეობის დასაცავად.
- ყველა წინა აქტივობისას გამოვლენილი მასალების საფუძველზე კულტურული მემკვიდრეობის მართვის გეგმების ჩარჩოს მომზადება.

#### **სოციალური ასპექტები:**

სოციალური ბაზა: (i) ადგილობრივი მოსახლეობის დემოგრაფიული, ეთნიკური, რელიგიური და სოციალურ-ეკონომიკური მახასიათებლები და დაუცველი და უნარშეზღუდული მოსახლეობა, რომელიც შეიძლება არაპროპორციულად დაზარალებულ იქნას პროექტის განხორციელებით; (ii) მათი ეკონომიკური და საარსებო საშუალებები, რომლებიც პირდაპირ დამოკიდებულია გზების კავშირზე (და შეიძლება მიიღონ სარგებელი პროექტის განხორციელებით), მათ შორის ძირითადად იმ აქტივობების ჩათვლით, რომლებშიც ჩვეულებრივ ქალები და ღარიბი/დაუცველი/უნარშეზღუდული ჯგუფები ერთვებიან; (iii) ახლო წარსულში მომხდარი ნებისმიერი მოვლენა, რომელმაც შეიძლება გავლენა მოახდინოს ადამიანების პროექტის აღქმაზე და სოციალურ შესრულებაზე; (iv) საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების რისკები (როგორც საგზაო უსაფრთხოების რისკები პროექტის ფარგლებში, ასევე ტიპური საგზაო უსაფრთხოების რისკები გზის მშენებლობის პროექტებში საქართველოში), (v) საჯარო სერვისებზე ხელმისაწვდომობა, როგორცაა ჯანდაცვა და განათლება საპროექტო სფეროებში და შეზღუდვები გზების ცუდი მდგომარეობის გამო; (vi) საპროექტო სფეროებში სატრანსპორტო მომსახურების ხელმისაწვდომობა; (vii) სამუშაო ძალის ხელმისაწვდომობა პროექტის განსახორციელებლად; (viii) პირველადი მომწოდებლების სამუშაო პირობები, რომელთაგან სამშენებლო მასალები, როგორც წესი, მიიღება საქართველოში გზის მშენებლობისას; (ix) საქართველოში სავაჭრობილო გზების მშენებლობის პროექტებში არსებული საჩივრების განხილვის მექანიზმების შესრულება და კონფლიქტების მოგვარების არსებული ადგილობრივი მექანიზმების შეფასება (მაგ. ადგილობრივი მთავრობების შუამავლობა); (x) საქართველოში გზების მშენებლობაში სექსუალური ექსპლუატაციისა და ძალადობის და სექსუალური შევიწროების (SEA/SH) წინასწარ არსებული პირობები; და (xi) ნებისმიერი სხვა შესაბამისი ინდიკატორი. კონსულტანტმა უნდა განსაზღვროს პროექტის ზემოქმედების არე მყარ მეთოდოლოგიურ საფუძველზე დამყარებით.

პროექტის დაინტერესებული მხარეები: პიროვნებები და/ან ჯგუფები, რომლებზეც შესაძლოა პროექტმა ზეგავლენა მოახდინოს; პიროვნებები, ჯგუფების (განსაკუთრებულად მოწყვლადი ან უნარშეზღუდული) ან ადგილობრივი მოსახლეობა რომლებზეც პროექტმა დადებითი ან უარყოფითი პირდაპირი ან ირიბი ზემოქმედება მოახდინოს; განსაზღვრეთ სხვადასხვა გზები, რომლითაც პროექტი შეიძლება დაუკავშირდეს მათ როგორც მომზადების, ასევე განხორციელების დროს.

აღნიშნული ინფორმაციის მოპოვება უნდა განხორციელდეს სავლელე გასვლებით და მონაცემების მოძიებით. თუ ინფორმაციის მოპოვება ვერ მოხერხდა მონაცემების მოძიებით მაშინ კონსულტანტმა სავლელე კვლევები უნდა ჩაატაროს. კონსულტანტმა დეტალურად უნდა აღწეროს სავლელე კვლევა მის საწყისს ანგარიშში სადაც მოცემული იქნება კვლევის მიზანი, დრო, მეთოდოლოგია. აღნიშნული ინფორმაცია ასევე ასახულ უნდა იქნეს გზმ-ს ანგარიშის მეთოდოლოგიის თავში.

## 2. ზემოქმედება და შემარბილებელი ღონისძიებები

საერთაშორისო დონეზე მიღებული საუკეთესო პრაქტიკა უნდა იქნას გამოყენებული გზმ -ს კვლევის განმავლობაში, მათ შორის ზემოქმედების იდენტიფიცირებისა და მათი მნიშვნელობის შეფასების პროცესში. დეტალურმა გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში და/ან პროექტში გამოყენებულმა კონკრეტულმა მიდგომამ შესაძლოა გამოავლინოს სხვადასხვა ზემოქმედებები. ამიტომ, კონსულტანტმა უნდა მოამზადოს მატრიცა კონკრეტულად ამ პროექტისათვის, სადაც ასახული იქნება გარემოზე ზემოქმედების შეფასების შედეგები და უფრო დეტალურად იქნება აღწერილი შემარბილებელი ღონისძიებები.



დამკვეთისა და პროექტის დამფინანსებლების პოლიტიკის მიხედვით, უპირატესობა ენიჭება ზემოქმედების თავიდან აცილებასა და შესაბამის შემარბილებელ ღონისძიებებს, ამიტომ კონსულტანტმა მჭიდროდ უნდა ითანამშრომლოს დეტალური პროექტის მომამზადებელ გუნდთან, რათა უზრუნველყოფილი იყოს ან ზემოქმედების დროულად აცილება ან ზემოქმედების შერბილება, რომელიც გათვალისწინებული უნდა იქნას პროექტში საჭიროების მიხედვით. კონსულტანტმა ასევე უნდა უზრუნველყოს დეტალური დიზაინის მომამზადებელი გუნდის დროული ინფორმირება შემარბილებელი ღონისძიებების სამშენებლო კონტრაქტებში გასათვალისწინების შესახებ.

### **გარემოს დაცვის რისკები და ზემოქმედება:**

გამოავლინოს და მიაწოდოს კატეგორია გარემოს დაცვის რისკებსა და ზემოქმედებას, რომელიც შესაძლებელია მშენებლობისა და ოპერირების პერიოდში წარმოიშვას, ისევე როგორც გარემოს დაცვის ასპექტები რომლებზეც შესაძლოა პროექტმა იქონიოს (მაგ: გეოლოგიური აქტივობები, გრუნტის წყლები, კლიმატის ცვლილება და სხვა) გავლენა.

თითოეული გამოვლენილი რისკისთვის წარმოადგინოს შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიება და აღწეროს თუ როგორ დაეხმარება იგი უარყოფითი ზეგავლენის შემცირებასა ან აცილებაში. წარმოადგინოს შესაბამისი ხარჯთაღიციხვა აღნიშნული ღონისძიების გამოყენებისთვის და არის თუ არა ქვეყანაში ხელსაყრელი სამართლებრივი/ინსტიტუციური მოწყობა ამ ზომების გამოყენებისათვის. იურიდიული/ინსტიტუციონალური სისუსტეების შემთხვევაში, რეკომენდაცია გაუწიეთ ხარვეზების აღმოფხვრის გზას.

### **სოციალური რისკები და ზემოქმედება:**

პროექტის სოციალური რისკების და ზემოქმედების იდენტიფიცირება ზემოაღნიშნული სოციალური პროექტის საფუძველზე და პროექტის საწინააღმდეგოდ, განსაკუთრებული ყურადღებით შემდეგზე: (i) მოწყვლადი და უქონელი ჯგუფები; (ii) შრომისა და მუშაობის პირობები (მათ შორის პირველადი მომარაგების მუშებისთვის); (iii) OHS და EHS საკითხები; (iv) შრომის ნაკადი და მარეზულტირებელი ზემოქმედება ადგილობრივ თემებზე, მათ შორის სექსუალური ექსპლუატაციისა და ძალადობის/სექსუალური შევიწროების (SEA / SH) ჩათვლით და (v) დაინტერესებული მხარეების ჩართულობა. კონსულტანტმა ასევე უნდა გამოავლინოს პოტენციური საშუალებები, რათა თავიდან აიცილოს ან მინიმუმამდე დაიყვანოს ნეგატიური სოციალური ზემოქმედება და გააძლიეროს პოზიტიური სოციალური შედეგები, მათ შორის პროექტში ცვლილებების შეტანის გზით.

შესაძლო სოციალური რისკების განსაზღვრა, რომლებიც არ უკავშირდება პროექტს, მაგრამ რამაც შეიძლება გამოიწვიოს კონფლიქტი პროექტის განხორციელებისას (ანუ: საზოგადოების დაუკითხავი მოთხოვნები, რომლებიც ითხოვენ საზოგადოებრივი მომსახურების გაუმჯობესებას, როგორცაა ჯანდაცვა ან განათლება).

### **რისკის მატრიცის შემუშავება:**

რისკების შემარბილებელი გეგმის მომზადება თითოეული ზემოაღნიშნული რისკისა და ზემოქმედებისათვის, თუ შესაძლებელია, ხარჯთაღრიცხვით. აღნიშნულის მიზანს წარმოადგენს რისკის დონის იდენტიფიცირება და დახარისხება და არა თითოეული ზემოქმედების დეტალური ანალიზის ჩატარება.

სატენდერო დოკუმენტში წვლილის შეტანა:

შესაბამისი ზომების განხილვა და დამატება, რომლებიც უნდა მიემართოს გარემოსდაცვით და სოციალურ რისკებს, მათ შორის OHS და EHS საკითხებს, სატენდერო დოკუმენტებში დამკვეთთან თანამშრომლობით.

### 3. ალტერნატივების ანალიზი

გარემოზე ზემოქმედების შეფასება უნდა მოიცავდეს პროექტის განხორციელებადი ალტერნატივების სისტემატურ შედარებას (ადგილმდებარეობის, ტექნოლოგიის, პროექტირების და მუშაობის კუთხით), მათ შორის «პროექტით გაუთვალისწინებელ» სცენარსაც. თითოეული ალტერნატივისათვის განხილული უნდა იყოს: პოტენციური ზემოქმედება; შემსუბუქების განხორციელებადობა; კაპიტალური და მიმდინარე ხარჯები; ადგილობრივ პირობებთან შესაბამისობა; ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე და კულტურულ მემკვიდრეობაზე ზემოქმედება. შედარებები უნდა განისაზღვროს რაოდენობრივად რამდენადაც შესაძლებელია, და ანალიზები უნდა განსაზღვრავდეს იმას, თუ რა როლი ითამაშა გარემოზე ზემოქმედების შეფასების შედეგებმა უპირატესი ალტერნატივის შერჩევაში ისევე როგორც გზის სავალი ნაწილის ზუსტი მიმართულების დადგენაში

### 4. ხარჯთაღრიცხვა

გზმ ანგარიში უნდა შეიცავდეს სავარაუდო ღირებულებას „გარემოს რისკებისა და ზემოქმედების“ მიხედვით (ასეთის არსებობის შემთხვევაში), რომელიც გათვალისწინებული უნდა იყოს სამუშაოთა მოცულობის უწყისში.

გზმ უნდა შეიცავდეს მკაფიო ღირებულებას EMP- ის განხორციელებისათვის სამშენებლო მოედანზე. ეს ღირებულება უნდა იყოს რეალისტური, რათა კონტრაქტორმა შეძლოს მისი ჩართვა ტენდერის მიზნით.

### 5. საჩივრების განხილვის მექანიზმი

ეს ნაწილი აღწერს საჩივრების განხილვის ჩარჩოს (როგორც არაფორმალურ, ისე ფორმალურ არხებს), ადგენს გარემოსდაცვითი მახასიათებლების შესახებ საჩივრების გადაწყვეტის ვადებსა და მექანიზმებს.

### 6. გარემოს დაცვის მართვის გეგმა

გზმ ანგარიში უნდა შეიცავდეს გარემოსდაცვითი მენეჯმენტის გეგმას, რომელიც მოიცავს გარემოს შემარბილებელი გეგმისა და გარემოს მონიტორინგის გეგმას.

გარემოზე ზემოქმედების შერბილებელი ღონისძიებების გეგმა:

1. ნათლად უნდა განსაზღვრავდეს თუ რა სპეციფიური შესაძლო ზემოქმედება შეიძლება იქონიონ სხვადასხვა ტიპის სამუშაოებმა სენსიტიურ რეცეპტორებზე;
2. წარმოადგინოს ამ ზემოქმედების მართვის კონკრეტული ქმედებები, ამ ქმედებების ადგილმდებარეობისა და დროის გრაფიკის ჩათვლით;
3. წამოადგინოს შესაბამისი ხარჯთაღრიცხვა ცალკეული შემარბილებელი ღონისძიებების (იმ ღონისძიებების, რომლებიც საეჭვოა რომ იყოს სამშენებლო კომპანიის შიდა პოლიტიკის ნაწილი და მათი ფასის მითითება აუცილებელი არ არის კონტრაქტის ზოგად განფასებაში);
4. ასახოს გაზომვადი კრიტერიუმები, რათა დადგინდეს თუ რამდენად ადეკვატურად ხდება შემამსუბუქებელი ღონისძიებების გამოყენება და რამდენად ეფექტურია ისინი;

5. განსაზღვროს თითოეული შემარბილებელი საქმიანობის განხორციელების პასუხისმგებლობა

გარემოზე ზემოქმედების მონიტორინგის გეგმა უნდა მოიცავდეს შემდეგს:

1. დადგენილი შემამსუბუქებელი ღონისძიებების ნუსხა სამშენებლო აქტივობების მიხედვით;
2. უზრუნველყოფილი უნდა იქნას შემამსუბუქებელი ღონისძიებების მონიტორინგის შერჩეული კრიტერიუმი;
3. განსაზღვრული უნდა იქნას მეთოდები გამოყენებული შემამსუბუქებელი ღონისძიებების შედეგების ასაზომად (ვიზუალური, ხელსაწყოს გამოყენებით, კვლევა, და აშ);
4. განსაზღვრული კრიტერიუმებით შემამსუბუქებელი ღონისძიებების მონიტორინგის ადგილმდებარეობისა და დროის განრიგის/სიხშირის დადგენა;
5. განსაზღვრული კრიტერიუმებით შემამსუბუქებელი ღონისძიებების მონიტორინგის ხარჯთაღრიცხვის უზრუნველყოფა;
6. პასუხისმგებლობის განსაზღვრა ყოველი მონიტორინგის კრიტერიუმის კონტროლზე.

მნიშვნელოვანია, რომ გარემოზე ზემოქმედების შერბილებელი ღონისძიებების გეგმა და გარემოზე ზემოქმედების მონიტორინგის გეგმა იყოს პრაქტიკული და ადვილად და მოსახერხებლად გამოსაყენებელი დოკუმენტები. გარემოზე ზემოქმედების შერბილებელი ღონისძიებების გეგმა უნდა შედიოდეს სატენდერო დოკუმენტებში, ისე რომ ის ხელმისაწვდომი იყოს დაინტერესებული მხარეებისთვის და მისი მოთხოვნები ასახული იყოს წარმოდგენილ წინადადებებში. მოგვიანებით, გარემოზე ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებების გეგმა გახდება დამკვეთისა და სამუშაოების მომწოდებელს შორის დადებული კონტრაქტის დანართი და მისი პირობების დაცვა სავალდებულო იქნება კონტრაქტის განხორციელების პერიოდში. ამიტომ გარემოს დაცვის მართვის გეგმა უნდა:

გზმ მოითხოვს, რომ კონტრაქტორმა მოამზადოს სამშენებლო მოედნის სპეციფიკური გარემოს დაცვის მართვის გეგმა გზმ-ში წარმოდგენილი გარემოს დაცვის მართვის გეგმის საფუძველზე. SEMP უნდა მომზადდეს და დაამტკიცოს გზების დეპარტამენტმა და ზედამხედველმა კონსულტანტმა სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე და სანამ აღჭურვილობა მობილიზდება ადგილზე/ბანაკებში. ბანაკები უნდა შეიქმნას SEMP- ების დამტკიცების შემდეგ.

7. გამოქვეყნება, დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაცია და ჩართულობა

გზმ უნდა შეიცავდეს საზოგადოებასთან/თემთან მნიშვნელოვან კონსულტაციას. ანგარიშში უნდა იყოს ნაჩვენები გზმ-ს მომზადების პროცესში განხორციელებული პროცესი. კონსულტაციის თარიღები, შეკრებილთა სია უნდა იყოს ჩაწერილი, თემების პრობლემებთან ერთად. გზმ -მ უნდა განმარტოს, თუ როგორ მოიცავს პროექტი თემების პრობლემებს. კონსულტაცია უნდა მოიცავდეს პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ პირებს, უზრუნველყოს ქალებისა და მოწყვლადი ჯგუფების მონაწილეობა, დაინტერესებული მხარეების ჩართვა, მათ შორის პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული პირებისა და დაინტერესებული არასამთავრობო ორგანიზაციების ჩათვლით. კონსულტაციები უნდა ჩატარდეს პროექტის მომზადების დასაწყისში და უნდა გაგრძელდეს პროექტის მომზადების პროცესში. გამოქვეყნება და კონსულტაციები დაინტერესებულ მხარეებთან გზმ-ს ანგარიშის პროექტზე, რომელიც ჩატარებულია ეროვნული კანონმდებლობისა და ADB პოლიტიკის შესაბამისად და მიზნად ისახავს

დაინტერესებული მხარეების ინფორმირებას პროექტის, მისი პოტენციური ზემოქმედებისა და შემარბილებელი ღონისძიებების შესახებ და მათ ჩართულობას პროექტის გადაწყვეტილებებისა და შემარბილებელი ღონისძიებების შემუშავებასა და განხორციელებაში.

ანგარიშში უნდა იყოს ნაჩვენები გზშ-ს მომზადების პროცესში განხორციელებული პროცესი. კონსულტაციის თარიღები, შეკრებილთა სია უნდა იყოს ჩაწერილი, თემების პრობლემებთან ერთად. გზშ-მ უნდა განმარტოს, თუ როგორ მოიცავს პროექტი თემების პრობლემებს. კონსულტაცია უნდა მოიცავდეს პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ პირებს, უზრუნველყოს ქალებისა და მოწყვლადი ჯგუფების მონაწილეობა, დაინტერესებული მხარეების ჩართვა, მათ შორის პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული ადამიანებისა და დაინტერესებული არასამთავრობო ორგანიზაციების ჩათვლით.

სავტომობილო გზების დეპარტამენტმა, როგორც პროექტის მხარდამჭერმა, უნდა:

1. გაუწიოს ორგანიზება საკონსულტაციო შეხვედრებს, რაც მოიცავს ამ შეხვედრების შესახებ განცხადების გაკეთებას, მონაწილეების დაპატიჟებას, შეხვედრის გამართვის ადგილისა და საპრეზენტაციო აპარატურის უზრუნველყოფას;
2. უხელმძღვანელოს ყველა შეხვედრას და გააკეთოს გაცნობითი სახის პრეზენტაცია; საჭიროებისამებრ უხელმძღვანელოს და მონაწილეობა მიიღოს განხილვებში.

კონსულტანტი ვალდებულია:

1. ყოველ შეხვედრაზე მოამზადოს და წარმოადგინოს მათი სამუშაოების ამსახველი პრეზენტაცია (MS Power Point ფორმატში) ქართულ ენაზე;
2. ყოველ შეხვედრაზე წარმოადგინოს მათი სამუშაოების ამსახველი მოკლე მიმოხილვა ქართულ ენაზე;
3. მოამზადოს ყოველი შეხვედრის ჩანაწერი ქართულ და ინგლისურ ენებზე, სადაც მითითებული იქნება დამსწრეები, დაინტერესებული მხარეები, განსახილველად წამოჭრილი საკითხები და გაცემული პასუხები;
4. გზშ-ს ანგარიშში შეიტანოს ინფორმაცია საკონსულტაციო პროცესის შესახებ, რომელიც გამოავლენს თუ როგორ მოხდა გზშ-ს ანგარიშში და/ან საინჟინრო პროექტში თითოეული პრობლემური საკითხის გადაჭრა, და ასევე უზრუნველყოფს დასაბუთებულ მიზეზს იმისა, თუ რატომ ვერ იქნა ეს საკითხები გადაჭრილი

კონსულტანტს შეუძლია ჩაატაროს დამატებითი კონსულტაციები საჭიროების შემთხვევაში და წინასწარ უნდა აცნობოს დამკვეთს თუ საჭიროა მათი ჩართულობა. მცირე შეხვედრები და დროებითი დისკუსიები ადგილზე არ საჭიროებს დამკვეთის მონაწილეობას, მაგრამ მსგავსი კონტაქტები უნდა იყოს დოკუმენტირებული და ჩართული გზშ -ს ანგარიშში.

კონსულტანტი უნდა დაეხმაროს დამკვირავებელს ზემოხსენებული პროცესების ორგანიზებაში, მოთხოვნისამებრ. კონსულტანტმა შესაძლებელია წარმართოს სხვადასხვა სახის კონსულტაციები, ინტერვიუები, თემატურ ჯგუფებთან შეხვედრები პროექტის გარემოსდაცვით და სოციალურ ასპექტებთან დაკავშირებით, რომელთა შესახებაც დამკვეთს უნდა შეატყობინოს წინასწარ. ველზე ჩატარებული პატარა შეხვედრები და სპეციალური განხილვები არ საჭიროებს დამკვეთის ჩართულობას, მაგრამ მსგავსი შეხვედრები უნდა იქნას წერილობით დოკუმენტირებული და დანართის სახით დაემატოს გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშს.

**ურთიერთობა**

კონსულტანტმა ურთიერთობა უნდა იქონიოს გზების დეპარტამენტთან, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან, აზიის განვითარების ბანკთან და საინჟინრო პროექტირების გუნდთან იმდენად, რამდენაც ეს აუცილებელია ზემოთ მითითებული ქმედებების განსახორციელებლად.

საინჟინრო გუნდთან ურთიერთობა არის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი, რადგან გარემოს დაცვისა და სოცილური საკითხების გავლენა თამაშობს მნიშვნელოვან როლს პროექტში; ასე რომ გზშ-ს ანგარიში უნდა მოიცავდეს ზუსტ და შესაბამისად დეტალურ ინფორმაციას პროექტზე.

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან კომუნიკაცია ასევე მნიშვნელოვანია როგორც გარემოს დაცვის ნებართვის მოთხოვნის პროცესში დახმარების გაწევის კუთხით, ასევე საქართველოს გარემოზე ზემოქმედების შეფასების სისტემის მოთხოვნების გაგების კუთხით, ასე რომ ამ კონტაქტებსაც ასევე უნდა მიენიჭოს პრიორიტეტულობა.

გზშ ანგარიშის პროექტი და საბოლოო ვერსიები უნდა მომზადდეს ისე, რომ ის მისაღები იყოს როგორც ADB-სთვის, ასევე გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთვის მათი სისტემების მოთხოვნების დაკმაყოფილების მიზნით. ADB უსაფრთხოების პოლიტიკის დოკუმენტი (SPS 2009), და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად გზშ-ს ანგარიშებისათვის განისაზღვრება გარემოზე ზემოქმედების შეფასების შესახებ (2009) დებულებაში.

გზშ ანგარიში უნდა იყოს სტრუქტურირებული ისე, რომ შეესაბამებოდეს კონსულტანტის დავალების იმ ელემენტებს, რომლებიც ზემოთ არის ასახული და მიჰყვება შემდეგ მოდელს:

აღმასრულებელი შეჯამება;

პოლიტიკა, სამართლებრივი და ადმინისტრაციული ჩარჩო;

პროექტის აღწერა;

გზშ მეთოდოლოგია;

გარემოს აღწერა (საწყისი მონაცემები);

მოსალოდნელი გარემოზე ზემოქმედება და შემარბილებელი ღონისძიებები;

ალტერნატივების ანალიზი;

ინფორმაციის გამოქვეყნება, კონსულტაცია და ჩართულობა;

საჩივრების განხილვის მექანიზმი;

გარემოსდაცვითი მართვის გეგმა;

დასკვნა და რეკომენდაცია;

მითითებები და დანართები.

მას შემდეგ, რაც გზშ-ს ანგარიშის სპეციალური დანართი იქნება ტყის ინვენტარიზაცია სახელმწიფო ტყის ფონდის იმ ნაწილებში, რომლებიც გვხვდება გზის გასწვრივ და საჭიროებს მათ ჩამოთვლას. თუ ინვენტარიზაცია აჩვენებს საქართველოს წითელ ნუსხაში შესული სახეობების არსებობას საკვლევ ტერიტორიაზე, მაშინ ეს დანართი უნდა შეიცავდეს დოკუმენტებს, რომლებიც საჭიროა ეროვნული სახეობების შესაბამისად ამ სახეობებზე ხეების მოჭრის ნებართვის მისაღებად. საჭიროა სახელმწიფო ტყის ფონდიდან საჭირო ტერიტორიების ჩამოსათვლელად, ასევე ხეების დარგვის კომპენსაციური გეგმა, რომელიც გვთავაზობს და ახასიათებს ნერგების დარგვის არეს, სახეობებს და ასაკობრივ შემადგენლობას, დაფარვისა და პლანტაციის მოვლის ტექნიკას და ა.შ. გეგმა უნდა იყოს

შემუშავებული იმ ხეების თეორიული სცენარისთვის, რომლებიც მოხსნილია ჩამოსაშლელ ნაკვეთებში, იმ გაგებით, რომ რეალური ჭრის საჭიროებები შეიძლება იყოს ნაკლები.

სპეციალურ დანართად გზშ-ს ანგარიშს უნდა დაემატოს ნარჩენების მართვის გეგმა, რომელიც მოიცავს და არ შემოიფარგლება:

- ინფორმაციას ნარჩენების გენერაციის შესახებ (განსაკუთრებით მთი წარმოშობის, ტიპის,შემადგენლობისა და მოცულობის შესახებ ნარჩენების ჩამონათვალში);
- ინფორმაციას შემარბილებელი ღონისძიებების შესახებ ნარჩენების გენერაციის და მათი ხელმეორედ გამოყენების, განსაკუთრებით სახიფათო ნარჩენების;
- სეპარირების მეთოდების აღწერა, განსაკუთრებით სახიფათო ნარჩენების;
- მეთოდი და პირობები ნარჩენების დროებით დასაწყობების შესახებ;
- ნარჩენების დამუშავების მეთოდების გამოყენებული ან / და ინფორმაცია იმ პირების შესახებ, რომლებსაც ნარჩენები გადაეცემათ შემდგომი დამუშავებისთვის.

გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის პროექტი განხილული უნდა იქნას დამკვეთისა და ADB-ის მიერ და კონსულტანტებმა უნდა გაითვალისწინონ დაინტერესებული მხარეების მიერ კონსულტაციებზე გაკეთებული კომენტარები გარემოზე ზემოქმედების შეფასების საბოლოო ანგარიშში. კონსულტანტმა ასევე უნდა გაითვალისწინოს საჯარო შეხვედრების დროს დაინტერესებული მხარეების მიერ გამოთქმული კომენტარები და დაურთოს საკონსულტაციო შეხვედრების ოქმები და სხვა დოკუმენტები, რომელიც მოიცავს საკონსულტაციო პროცესს, გარემოზე ზემოქმედების შეფასების საბოლოო ანგარიშს.

გარემოს დაცვის მენეჯმენტის გეგმა უნდა მოიცავდეს ორ ცხრილს: გარემოზე ზემოქმედების შემსუბუქების გეგმას და გარემოზე ზემოქმედების მონიტორინგის გეგმას, როგორც ეს მითითებულია დეტალურად წინამდებარე ტექნიკურ დავალებაში. ორივე ცხრილი უნდა მოიცავდეს გზების მშენებლობისა და მუშაობის ეტაპებს.

### **სატენდერო დოკუმენტაცია**

კონსულტანტი შესყიდვების პოლიტიკისა და წესების მიხედვით მოამზადებს სატენდერო დოკუმენტებს სამშენებლო სამუშაოებისათვის. სამუშაოთა მოცულობების უწყისი, რომელიც სატენდერო დოკუმენტაციის შემადგენელი ნაწილია, უნდა მოიცავდეს შესაბამის პუნქტებს გარემოსდაცვითი მენეჯმენტის გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებების განსახორციელებლად.

დოკუმენტების სამუშაო ვარიანტი წარდგენილი იქნება პროექტირების ანგარიშის პროექტთან ერთად.

ამის შემდეგ კონსულტანტმა უნდა მოამზადოს საბოლოო სატენდერო დოკუმენტაცია, დამკვეთისა და აზიის განვითარების ბანკის ყველა შენიშვნით.

### **მე-2 აქტივობის ხანგრძლივობა**

მე-2 აქტივობის ხანგრძლივობა შეადგენს 10 თვეს, ამასთან, 6 თვიანი პერიოდი საპროექტო ანგარიშის საბოლოო ვერსიის წარმოდგენიდან (საბოლოო LARP-ის ჩათვლით), განსახლების სამოქმედო გეგმის განახლების/კორექტირების მიზნით.

### **წარმოსადგენი დოკუმენტაცია**

კონსულტანტი მოამზადებს და წარუდგენს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტს ქვემოთ ჩამოთვლილ ანგარიშებს:

**ა) შუალედური საპროექტო ანგარიში:** ეს ანგარიში წარმოდგენილი იქნება 10 თვის განმავლობაში, მომსახურების გაწევიდან და მასში დეტალურად იქნება აღწერილი დეტალური პროექტის მომზედებისთვის გაწეული სამუშაოები. მასში მოცემული იქნება წინასწარი დასკვნები, რომლებიც დაფუძნებული იქნება არსებითად დასრულებულ ანალიზებზე, კვლევის შედეგებზე. ასევე, მასში აღწერილი იქნება მიმდინარე და მოსალოდნელი სირთულეები, სამუშაოების შეფერხების მიზეზები და მათი დაძლევის გზები. შუალედური ანგარიში უნდა მოიცავდეს სავლე კვლევებს, სწავლებებს, გამოკვლევებსა და ინსტრუმენტულ კვლევებს. კონსულტანტმა გეგმა უნდა მოამზადოს, მონაცემების შესაგროვებლად, მათ შორის, გეოლოგიური, გეოტექნიკური კვლევები და ანალიზი. ცხრილში დეტალურად უნდა იყოს აღწერილი ლოკაციების რაოდენობა და კვლევებზე დახარჯული დრო. გეგმა დართული უნდა იყოს შუალედურ საპროექტო ანგარიშში. კონსულტანტმა უნდა ჩამოწეროს პროექტირების შემუშავების კრიტერიუმები და სტანდარტები, რომელიც ასევე უნდა დაერთოს შუალედურ საპროექტო ანგარიშს.

**ბ) ანგარიშის პროექტი:** ეს ანგარიში წარმოდგენილი იქნება მომსახურების დაწყებიდან 14 თვეში და უნდა ასახოს ყველა სამუშაო, რომელიც დავალების განხორციელების დროს შესრულდა და უნდა შეიცავდეს დეტალური პროექტირების ანალიზს, დასკვნებს, შედეგებსა და რეკომენდაციებს, შესაბამის დოკუმენტაციასთან ერთად. მასში მოცემული იქნება პროექტის რეზიუმე, რომელშიც პროექტის საპროექტო სტანდარტები და სავარაუდო ფასები იქნება ჩაშლილი, ადგილობრივ ვალუტაში. ანგარიშის პროექტთან ერთად წარმოდგენილი უნდა იყოს სატენდერო დოკუმენტაციის სამუშაო ვერსია. ანგარიშის პროექტი უნდა მოიცავდეს საფარის პროექტის ანგარიშს, დეტალურ პროექტს, ნახაზებს, სპეციფიკაციებს, განმარტებით ბარათს, მოცულობათა უწყისების დრაფტს, ხარჯების შეფასებასა და EIA და LARP -ის ზეგავლენის ცხრილს.

**გ) საბოლოო ანგარიში:** ეს ანგარიში წარმოდგენილი იქნება სამუშაოს დაწყებიდან 16 თვეში. ამ ანგარიშში ასახული უნდა იყოს ყველა ის კომენტარი, რომელიც მიღებული იქნება საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ დეტალური პროექტის სამუშაო ვერსიის განხილვისა და შეფასების შედეგად და დამკვეთს გადაეგზავნება დასამტკიცებლად. იგი უნდა მოიცავდეს ყველა დასკვნას, ანალიზს, შედეგსა და დამატებით მასალებს. საბოლოო ანგარიში ასევე უნდა მოიცავდეს საფარის პროექტის ანგარიშს, დეტალურ პროექტს, ნახაზებს, სპეციფიკაციებს, განმარტებით ბარათს, მოცულობათა უწყისებს, ხარჯთაღრიცხვას, სატენდერო დოკუმენტაციას, საბოლოო EIA და LARP და პროექტის საექსპერტო დასკვნებს

**დ) საბოლოო განახლებული/კორექტირებული მიწის შესყიდვისა და განსახლების გეგმა (LARP):** კონსულტანტმა უნდა მოახდინოს მიწის შესყიდვისა და განსახლების გეგმის (LARP) შესწორება/კორექტირება მიწების გამოსყიდვის პროცესის დროს გამოვლენილი ცვლილებების/უზუსტობების შესაბამისად. კონსულტანტმა უნდა უზრუნველყოს ეს

მომსახურება მიწების გამოსყიდვის მთლიანი პროცესის განმავლობაში და წარმოადგინოს საბოლოო მიწის შესყიდვისა და განსახლების გეგმა (LARP) ყველა შესწორების/ცვლილების განხორციელების შემდეგ ; საბოლოო მიწის შესყიდვისა და განსახლების გეგმა (LARP) უნდა დამტკიცდეს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ. ამ მიზნით სავარაუდო დრო განისაზღვრება საბოლოო საპროექტო ანგარიშის წარმოდგენიდან (საბოლოო LARP ჩათვლით) 6 თვის შემდეგ, მაგრამ LARP-ის განახლების მიზნით, კონსულტანტი სავარაუდოდ უზრუნველყოფს პერსონალის ძალიან შეზღუდულ რაოდენობას შესაბამისი თვეებით.

დეტალურ პროექტთან დაკავშირებული ანგარიშის განრიგი დავალების შესაბამისად ქვემოთ არის მოცემული (დაწყების დღიდან)

დეტალურ პროექტთან დაკავშირებული ანგარიში	ასლების რაოდენობა	ენა	წარდგენის ბოლო ვადები	გადახდის პროცენტი
შუალედური საპროექტო ანგარიში	2	ინგლისური	მომსახურების დაწყებიდან 10 თვის განმავლობაში	25%
	5	ქართული		
	2	ელექტრონული ინგ+ქართ (CD) შესაბამისი Autocad ფაილის ჩათვლით		
ანგარიშის პროექტი	2	ინგლისური	მომსახურების დაწყებიდან 14 თვის განმავლობაში	40%
	5	ქართული		
	2	ელექტრონული ინგ+ქართ (CD) შესაბამისი Autocad ფაილის ჩათვლით		
საბოლოო ანგარიში	10	ინგლისური	მომსახურების დაწყებიდან 16 თვის განმავლობაში	30%
	10	ქართული		
	2	ელექტრონული ინგ+ქართ (CD) შესაბამისი Autocad ფაილის ჩათვლით		
საბოლოო	5	ინგლისური	საპროექტო	5%



განახლებული / კორექტირებული LARP 3-ვე მონაკვეთისთვის	5	ქართული	ანგარიშის საბოლოო ვერსიის წარდგენიდან 6 თვის განმავლობაში
	3	ელექტრონული ინგ+ქართ (CD) შესაბამისი Autocad ფაილის ჩათვლით	

## 1. პროექტის ადმინისტრირება

### დამკვეთისა და კონსულტანტის ვალდებულებები

#### დამკვეთის ვალდებულებები

დამკვეთი უსასყიდლოდ წარუდგენს კონსულტანტს მის ხელთ არსებულ ყველა საჭირო ინფორმაციას, თუმცა დამკვეთის მიერ მოწოდებულ ნებისმიერი ინფორმაციის არარსებობაზე პასუხისმგებლობა სრულად ეკისრება კონსულტანტს.

დამკვეთი კონსულტანტს მიაწვდის მის ხელთ არსებულ ყველა მონაცემსა და ანგარიშს, რომელიც კვლევასთანაა დაკავშირებული.

#### კონსულტანტის ვალდებულებები

კონსულტანტი სათანადოდ განიხილავს და გააანალიზებს ყველა ინფორმაციას, მონაცემებსა და ანგარიშებს, რომლებიც დამკვეთისგან იქნება მიღებული მომსახურების პერიოდში. კონსულტანტი პასუხისმგებელი იქნება დამკვეთის მიერ მიღებულ მონაცემებისა და ინფორმაციის ანალიზზე, ინტერპრეტირებაზე და გაკეთებულ დასკვნებზე. ყველა ამგვარი ინფორმაცია, მონაცემები და ანგარიშები იქნება კონფიდენციალური და დაუბრუნდება დამკვეტს მომსახურების დასრულების შემდგომ. პასუხისმგებლობა ამგვარი მონაცემების სათანადოდ გამოყენებაზე კონსულტანტს აკისრია.

კონსულტანტი პასუხისმგებელი იქნება მომსახურების განხორციელებისთვის საჭირო საოფისე და საცხოვრებელი ადგილის, ტრანსპორტირების, მოწყობილობებისა და მასალების, კვლევების, მასალების ტესტირების, სამდივნო მომსახურების უზრუნველყოფაზე საკუთარი სახსრებით. კონსულტანტი პასუხისმგებელი იქნება ყველა ანგარიშის, ნახაზების, რუკების და ა.შ. დაბეჭდვაზე.

კონსულტანტი წარმოადგენს რუკების, გეგმების და ყველა ნახაზის ორიგინალებს, საბოლოო სატენდერო დოკუმენტაციასთან ერთად, როგორც ნაბეჭდი (სატენდერო დოკუმენტაციის გარდა), ისე ელექტრონული სახით, CD ROMs-ის ფორმატში, ასევე დამკვეთისთვის მისაღებ (რედაქტირებად და PDF) ფორმატში.

კონსულტანტის მიერ საკონსულტაციო პერიოდში მომზადებული ყველა ანგარიში და დოკუმენტი, რომელიც დაკავშირებულია პროექტთან, მათ შორის, რუკები, საველე

კვლევების შედეგები, კომპიუტერული პროგრამები, ელექტრონული მონაცემები და ა.შ. გახდება დამკვეთის საკუთრება.

კონსულტანტს მოეთხოვება, დეპარტამენტის მიერ დანიშნულ სხვა კონსულტანტებთან და თანამშრომლებთან თანამშრომლობა.

### **ხარისხის მართვა**

წინამდებარე საკონსულტაციო მომსახურების ფარგლებში დავალებების შესრულებამდე, კონსულტანტმა უნდა მოამზადოს ხარისხის მართვის გეგმა. იგი შეტანილი უნდა იქნას ანგარიშში და მოიცავდეს შემდეგს:

- კონსულტანტის ძირითადი პერსონალის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება;
- ინფორმაცია დასაქირავებელი ქვე-კონსულტანტების ან სპეციალისტების შესახებ;
- განსახორციელებელი ხარისხის პროცედურების ჩამონათვალი;
- სამუშაო პროგრამა და მონიტორინგისთვის საჭირო პროცედურები;
- ტექნიკური განხილვისთვის საჭირო პროცედურები;
- დოკუმენტების კონტროლის პროცედურები.

### **წარმოდგენები, დამტკიცებები და განმარტებები**

კონსულტანტის მიერ მომზადებული და დამკვეთისთვის წარსადგენი ყველა ანგარიში უნდა იყოს ინგლისურ და ქართულ ენებზე, A4, A3 და A1 ზომის ქაღალდებზე. წარმოდგენილი უნდა იყოს თითოეული ანგარიშის 2 ინგლისურენოვანი ნაბეჭდი 2 ქართულენოვანი ნაბეჭდი ვერსია, ასევე CD ROM დისკზე ჩაწერილი ელ.ვერსიები, თითოეული ენისთვის. კონსულტანტი დამკვეთს შეუთანხმებს ნახაზების ელ.ვერსიების ფორმატს.

კონსულტანტის მიერ მომზადებული დოკუმენტები განხილული იქნება საავტომობილო გზების დეპარტამენტის სხვადასხვა სამმართველოებისა და სხვა ორგანიზაციების მიერ. (დადგენილი ვადები ცალკეული ანგარიშისთვის ჩაშლილია ზემოთ მოცემულ ცხრილში - „დეტალურ პროექტთან დაკავშირებული ანგარიშში“). განხილვას დაექვემდებარება შემდეგი დოკუმენტები და არა მხოლოდ: გეოტექნიკური კვლევების შესახებ ანგარიშები და მონაცემები, პროექტები და სატენდერო დოკუმენტები. დამტკიცების პროცესს გზების დეპარტამენტი უხელმძღვანელებს, თუმცა კონსულტანტი დაეხმარება დამკვეთს ამგვარ დამტკიცებაში იმით, რომ მოუმზადებს მას დამატებით ანგარიშებს, გაანგარიშებებს, ნახაზების ასლებს და განმარტებებს. კონსულტანტი ასევე დაეხმარება დამკვეთს

ტენდერის მიმდინარეობისას, ტენდერში მონაწილე კომპანიების მიერ დასმულ შეკითხვებზე პასუხების მომზადებაში.

### **კონსულტაციები და შეხვედრები**

კონსულტანტსა და დამკვეთს შორის შეხვედრები თვეში ორჯერ უნდა შედგეს. კონსულტანტის მიერ მომზადებული იქნება შეხვედრების განრიგი და ოქმები. თითოეული შეხვედრის შესახებ კონსულტანტის მიერ მომზადდება მოკლე ანგარიში, ამგვარი შეხვედრების შესახებ.

შეხვედრის ოქმი დამქირავებელს შესათანხმებლად წარედგინება შეხვედრის შემდეგ არაუგვიანეს 3 სამუშაო დღისა. ოქმში მოცემული უნდა იყოს სამუშაო გეგმა, შესაბამისი დავალებების მითითებით.

### **დავალებების ხანგრძლივობა**

დავალების ხანგრძლივობა არის 16 თვე, დამატებით 6 თვე, საბოლოო საპროექტო ანგარიშის (LARP-ი ჩათვლით) წარდგენიდან, გამოყოფილია განსახლების სამოქმედო გეგმის განსახლებლად/შესასწორებლად.

ხელშეკრულების შესრულების საგარანტიო უზრუნველყოფა

(უპირობო საბანკო გარანტია)

CPB100827

ვის: საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტს

მხედველობაში ვიღებთ რა, რომ უცხოური საწარმოს ფილიალი "სმექ ინთერნეიშენალ ფითიუაი ლიმიტედის ფილიალი საქართველოში" (ს/კ 405244114) (შემდგომში - „პრინციპალი“) „საერთაშორისო მნიშვნელობის თბილისი-სენაკი-ლესელიძე (რუსეთის ფედერაციის საზღვარი) საავტომობილო გზის კმ17-კმ28 მონაკვეთის (თბილისი-ნატახტარი) მოდერნიზაცია-მშენებლობისთვის ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთებისა და დეტალური საპროექტო დოკუმენტაციის შედგენაზე მომსახურება - NAT230020858 “ ტენდერში წარდგენილი თავისი სატენდერო წინადადების შესაბამისად იკისრა ვალდებულება წარმოადგინოს საბანკო გარანტია მასზე დაკისრებული ვალდებულებების შესრულების გარანტიის სახით ხელშეკრულებაში მითითებულ თანხაზე, ჩვენ თანახმა ვართ გავცეთ პრინციპალის სახელზე ზემოთაღნიშნული გარანტია

ამასთან, დაკავშირებით, ვადასტურებთ, რომ ვართ გარანტები და პასუხისმგებლები თქვენს წინაშე პრინციპალის სახელით საერთო თანხაზე: 518 000 (ხუთას თვრამეტი ათასი) ლარი და უპირობოდ ვკისრულობთ ზემოაღნიშნული თანხის გადახდის ვალდებულებას თქვენი პირველივე მოთხოვნისთანავე (არაუგვიანეს 10 საბანკო დღისა), თქვენს მოთხოვნაში პრინციპალის მიერ ხელშეკრულების პირობების დარღვევის თაობაზე მითითების საფუძველზე, თქვენი მხრიდან მოთხოვნის ან მოთხოვნილი თანხის დასაბუთების საჭიროების გარეშე.

წინამდებარე გარანტია ძალაშია : 2024 წლის 10 იანვრიდან 2028 წლის 14 ივნისის ჩათვლით. გადახდის შესახებ ნებისმიერი მოთხოვნა გარანტს უნდა წარედგინოს შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, დ. გამრეკელის ქ. # 19 ზემოაღნიშნულ თარიღის ჩათვლით 18:30 საათამდე

ნინო ბოკუჩავა  
რისკების დირექტორი



**უნისონი**  
სადაზღვევო კომპანია

404393152   
სადაზღვევო კომპანია უნისონი  
ISC INSURANCE COMPANY UNISON